# საქართველოს რესპუბლიკა

**საკვირაო გამოშვება**

კვირა, 12 ოქტომბერი, 1997 წელი. №254 (2627)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 40 თეთრი. თბილისს გარეთ 45 თეთრი.


**ვიზიტი**

## სტრასბურგის სამიტი — ერთიანი ევროპული სივრცე უკვე რეალობაა



სტრასბურგი. სერგო ედიშერაშვილის ფოტო.

ევროპის საბჭოს მეორე უმაღლესი დონის სამიტის დასკვნითი დეკლარაცია და ევროპაში დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცებისათვის სამოქმედო გეგმა, — ასეთია ევროსაბჭოს სტრასბურგის შეხვედრის შედეგი. 11 ოქტომბერს უმაღლესი დონის სამიტმა, რომელშიც წევრ სახელმწიფოებთან ერთად, ევროსაბჭოს სპეციალური სტუმრის სტატუსით პირველად მონაწილეობდა საქართველო, მუშაობა დაასრულა.

სამიტის დასკვნით სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

იმავე დღეს, „ევროპის სასახლეში" საქართველოს სახელმწიფოს მეთაური შეხვდა ევროპის საბჭოს პოლიტიკურ დირექტორს ჰანს პეტერ ფურერს.

გვიან საღამოს, საქართველოს ოფიციალური დელეგაცია, საქართველოს პრეზიდენტის მეთაურობით, თბილისს დაბრუნდა. დედაქალაქის აეროპორტში სამიტზე აკრედიტებული ქართველი ჟურნალისტებისათვის ედუარდ შევარდნაძემ გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც ევროსაბჭოს უმაღლესი დონის სამიტისა და სტრასბურგში გამართული ოფიციალური შეხვედრის შედეგები შეაჯამა.

სტრასბურგის შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლის ტექსტს და სამიტის მუშაობის მეორე დღის ამსახველ სრულ ინფორმაციას, აგრეთვე, მისი შედეგების საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისეულ სრულ შეფასებებს გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ. მანამდე კი ედუარდ შევარდნაძის ერთ ფრაზას მოვიტანთ ჟურნალისტებთან შეხვედრიდან: „ჩვენ მივდივართ ევროპული ინტეგრაციის გზით და ეს გზა უკვე აღარ არის ძალიან შორი. მე იმედი მაქვს, რომ ევროსაბჭოს მომდევნო, საიუბილეო ფორუმში საქართველო მონაწილეობას მიიღებს, როგორც ამ დიდი ევროპული ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი და ეს აუცილებლად მოხდება, თუ ჩვენ არ გადავუხვევთ დემოკრატიული განვითარების არჩეული კურსიდან".

**მაია ალუდაური,**
**გია აბაშიძე,**
საქინფორმის სპეც. კორ.

სტრასბურგი-თბილისი.

**„აგჯარი-97"**

## გადამწყვეტი ოპერაციის წინ

10 ოქტომბერს ყულევის პოლიგონზე, სადაც მიმდინარეობს ქართული არმიის ფართომასშტაბიანი წვრთნა, დასკვნითი ეტაპის წინ გაიმართა უკანასკნელი საერთო-საჯარისო ოპერაცია. საბრძოლო მოქმედებას ხელმძღვანელობდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე.

საქართველოს სამხედრო ძალების მთავარ შტაბში, რომელიც წვრთნის პერიოდისათვის პოლიგონის მახლობლად მდებარეობდა, საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, რომ მანევრირება დაიწყო ავიაციამ. საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა პირობითი მოწინააღმდეგის განლაგების ზონაში ჩამოყარეს 280-კილოგრამიანი ბომბები, შემდეგ სანაპირო ზოლს დაუშინეს საარტილერიო კანონადა. ქართული არმიის პრაქტიკაში პირველად ამოქმედდა სამამულო წარმოების საზენიტო ჯგუფეულის კომპლექსი, რომელიც დამიზნებით ცეცხლს უშენდა საჰაერო სამიზნეებს.

არტილერიის მოქმედების პარალელურად დაიწყო დესანტის გადასხმა ზღვიდან. სამასზე მეტმა მედესანტემ წარმატებით გაართვა თავი დასახულ ამოცანას. ამავე დროს, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებმა მტერს ზღვიდან შეუტიეს. წვრთნის დროს დინამიურად ასრულებდნენ დაკისრებულ ამოცანებს ჯავშანტრანსპორტიორები, რომლებსაც სახმელეთო ძალების მეომართა ნაწილები მოჰყვებოდნენ.

ამოქმედდნენ, აგრეთვე, შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფები და უშიშროების სამინისტროს სპეციალური რაზმები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა-პატრულირებას ახორციელებდნენ.

ოპერაცია, რომლის დროსაც ყველა ძალოვანი სტრუქტურა ერთიანი, შეთანხმებული რეჟიმით მოქმედებდნენ, ორ საათს გრძელდებოდა.

საქინფორმი.

**დაჯილდოება**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 29 სექტემბერი ქ. თბილისი

სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშის საშუალო სკოლის პედაგოგთა და კურსდამთავრებულთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშის საშუალო სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების, მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზის განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშის საშუალო სკოლის პედაგოგები და კურსდამთავრებულნი დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

ღირსების ორდენით:

ლავრენტი თვალავაძე — საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ყოფილი დირექტორი;

გიორგი ხაზარაძე — თბილისის ბიზნესცენტრის ფირმა „საიმედოს" პრეზიდენტი, სოფელ ბაშის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, სკოლის ქველმოქმედი.

ღირსების მედლით:

ალექსანდრე კუჭუხიძე — ყოფილი მასწავლებელი;
ელეონორა ნაფეტვარიძე — ყოფილი მასწავლებელი;
ნაზი ყაველაშვილი — მასწავლებელი.

**ე. შევარდნაძე.**

## ბაში თავს ნიშნავს...

100 წელი შეუსრულდა სოფელ ბაშის სკოლას, იმერეთში, სამტრედიის რაიონში რომ „უშვებს" აღსაზრდელებს. და მერე როგორი კონტინგენტი გამოდის მისი, დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი უძველესი სკოლიდან. დღეს შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ხუთი აკადემიკოსი, ოცი მეცნიერების დოქტორი და კანდიდატი, ხუთი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. აქაურებს საკმაო წვლილი შეჰქონდათ საქართველოს კეთილდღეობაში.

საუკუნეა დგას ბაშის საშუალო სკოლა და აგრძელებს თავის კეთილშობილურ საქმეს.

და რაკი „ბაში" თავს ნიშნავს, ბაშის სკოლასაც თამამად შეიძლება ეწოდოს მთავარი...

**ანზორ ბასილაია.**

## მადლობა გამოეცხადათ

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მადლობა გამოეცხადათ სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშის საშუალო სკოლის პედაგოგებს:

გიორგი ბაშელეიშვილს — მასწავლებელს; ომარ ზერაძეს — დირექტორს; მაყვალა კაშმაძეს — სასწავლო ნაწილის გამგეს; ზიზლა მეძმარიაშვილს — მასწავლებელს; ელენე ჩიქოვანს — მასწავლებელს.



ბაშის ახალი საშუალო სკოლა, აგებულია 1970 წელს.

**ინფორმაცია**

### კორუფცია დემოკრატიულ ქვეყანაში ვერ იარსებებს

როგორც ვიუწყებოდით, კორუფციასთან ბრძოლისა და საჯარო სექტორის საქმიანობის გაუმჯობესების პრობლემებს მიეძღვნა მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებული ორდღიანი სემინარი, რომელიც „შერატონ პალასში" გუშინ დასრულდა.

„საქართველოს დემოკრატიულ, ცივილიზებულ და სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ღირსეული საზოგადოების ჩამოყალიბება, იმ საზოგადოებისა, რომლისთვისაც ცნება კორუფცია არ იარსებებს. ამდენად, ჩვენს ქვეყანაში ამ სენთან ბრძოლა კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს და გაძლიერდეს", — ასეთი აზრი გამოთქვეს სესიის მონაწილეებმა, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ, კონტროლის პალატის ხელმძღვანელმა რევაზ შავიშვილმა და სხვებმა.

### მრავალსახეობა ნობათისა

„თბილისობის" დღესასწაულში ტრადიციულად მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგება გურიის მხარე. ზეიმის წინა დღეებში მოწესრიგდება რიყეზე მდებარე ეთნოგრაფიული სახლი, მისი ინტერიერი და გარე ფასადი, აქვე განთავსდება მხარის ეთნოგრაფიულ თავისებურებათა გამომხატველი ატრიბუტიკა. საკონცერტო ნომრებს წარმოადგენენ გურიის რჩეული თვითმოქმედი მხატვრული ანსამბლები.

მხარე მრავალფეროვნად იქნება წარმოდგენილი გასაყიდი პროდუქტების სახეობებითაც. გურულების საშემოდგომო ნობათით დატვირთული 20 ავტომანქანა დაიძრება თბილისისკენ. 15 ტონა ციტრუსი, 500 კილოგრამი ჩაი, 3 ტონა სიმინდის ფქვილი, 6 ტონა თევზი, საკონსერვო ნაწარმი, ყველი, თაფლი, კარტოფილი, თხილი, ხილეული, მინერალური წყალი „ნაბეღლავი", სააქციო საზოგადოება „ასკანიტის" პროდუქცია — ასეთია მრავალსახეობა ნობათისა.

**უკანასკნელ საათს**

მეხიკო. მექსიკაში ქარიშხლის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ, ოფიციალური მონაცემებით, 200-ს გადააჭარბა. სტიქიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდნენ ჩიაპასის, გერეროსა და ოაქსაკას შტატები. ასიათასობით მოსახლე უსახლკაროდ დარჩა. ხელისუფლების წარმომადგენლები თვლიან, რომ ქარიშხლის მსხვერპლთა რაოდენობა, შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს. დაღუპულთა გვამები ადიდებულმა მდინარეებმა ოკეანეში ჩაიტანეს.

ბუდაპეშტი. უნგრეთის პრეზიდენტმა არპად გენცმა 16 ნოემბრისათვის დანიშნა რეფერენდუმი, რომელზეც უნგრეთის ნატოში გაწევრიანების საკითხი იქნება გატანილი.

საქართველოს რესპუბლიკა
№254, კვირა, 12 ოქტომბერი, 1997 წელი.

## მეორე პოსტულატი

როგორც იქნა, საქართველომ მიიღო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. დიდი ხნის ნანატრი დოკუმენტი, რომელსაც ელოდნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლები. დაიწყო პერიოდი სახელმწიფო ენის პროგრამის პრაქტიკული განხორციელებისა. რა თქმა უნდა, ამ საქმიანობაში ჩაება აღმასრულებელი ხელისუფლების მრავალი სამსახური და მათ შორის სახელმწიფო კანცელარიის ეროვნებათაშორისი ურთიერთობის განყოფილებაც. განყოფილების თანამშრომლები ადგილებზე სწავლობენ საქმის კონკრეტულ ვითარებას, განსაკუთრებით არაქართველი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. პრაქტიკულად ეხმარებიან ადგილობრივ ხელისუფლებას სახელმწიფო ენის კანონის შესრულებისთვის აუცილებელი ნიადაგის შემზადებაში, განსაზღვრავენ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს. ეს ყოველივე იმისთვის კეთდება, რათა არ დაირღვეს სერიოზული სახელმწიფო საქმე, რადგანაც ეროვნულ უმცირესობისთვის ქართული ენის ცოდნა და შესწავლა სერიოზული ფაქტორია ახალი, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის საქმეში, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მისი კადრების გამოყენებისთვის და ა.შ.

გასაგებია, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ რეგიონებს, სადაც არაქართველი მოსახლეობის უმთავრესმა ნაწილმა არ იცის სახელმწიფო ენა, რადგანაც მრავალი წლის განმავლობაში ამ პრობლემას არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება და სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა საქმიანობა ამ განხრით დაიყვანებოდა ფორმალიზმამდე. ამჟამად არსებობს ორიენტირი – კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყველაფერი გაკეთდება, რათა მოკლე ხანში მთელმა მოსახლეობამ, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ შეისწავლოს და იცოდეს ქართული ენა.

სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების არაერთგზის მონახულების დროს, ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნებათაშორისი ურთიერთობის საკითხებში, ბატონი ალექსანდრე გერასიმოვი, დარწმუნდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას დიდი სურვილი აქვს შეისწავლოს ქართული ენა, გამოითქვა აზრი, რომ გაიხსნას ენის შემსწავლელი კურსები როგორც რაიონის ხელმძღვანელობისთვის, ისე მთელი უფროსი თაობისათვის.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მხოლოდ ერთი, ნინოწმინდის რაიონის მაგალითზე, გვინდა წამოვწიოთ ის პრობლემები, რომლებიც გადასაწყვეტია უახლოეს მომავალში. ამ რაიონზე შეჩერება არ არის შემთხვევითი, რადგანაც იგი უმთავრესად სომხურენოვანია, დაშორებულია დედაქალაქს, აქვს უვარგისი გზები და განიცდის ელექტროენერგიის უკმარისობას. ჰავა აქ მკაცრია, განსაკუთრებით ზამთარში. ჯერ კიდევ საკმარისად ეფექტიანად ვერ იყენებენ რეგიონის ძლიერ ეკონომიკურ პოტენციალს. არის სერიოზული პრობლემები მოსახლეობის კულტურულ და სამომხმარებლო სფეროებში. ბოლო პერიოდში პრეზიდენტი, სამინისტროები, უწყებები ყოველ ღონეს ხმარობენ აქ ეკონომიკის აღორძინებისთვის, საექსპლოატაციოდ გადაეცემა სოციალურ-კულტურული ობიექტები, გრძელდება საავტომობილო გზის მშენებლობა და ა.შ. ყოველივე ეს ეხმარება მოსახლეობას მომავლის შენებას უფრო შემართებით მიჰყოს ხელი, და მცხოვრებლებმა თავი თავისუფალი საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად აღიქვან.

და მაინც, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ენის ფუნქციონირების პროგრამის განხორციელება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო საქმეა, რომლის შესრულებასაც სასწრაფოდ უნდა შეუდგეს ყველა, დაწყებული უმაღლესი სახელმწიფო სტრუქტურებით და დამთავრებული სოფლის ხელმძღვანელობით, სკოლით, ფართო საზოგადოებით.

## სახელმწიფო ენა ქვეყნის მთელი მოსახლეობის ენაა

და აი, რატომ: დღესდღეობით ნინოწმინდის რაიონში ქართული ენისა და ლიტერატურის მხოლოდ 12 მასწავლებელია უმაღლესი და არასრული უმაღლესი სპეციალური განათლებით (ორი მათგანი დასაქმებულია მხოლოდ ამ სასწავლო წელიწადში). ისინი მუშაობენ ცხრა საშუალო სკოლაში. სხვა 17 სკოლაში, მათ შორის 12 საშუალოში, ქართულ ენას და ლიტერატურას ასწავლიან არასპეციალისტები, ზოგჯერ საშუალო განათლების მქონე ადამიანები, მხოლოდ ქართულ სალაპარაკო ენას, რომლებიც ფლობენ. ეს კიდევ არაფერი, რაიონის 7 სკოლაში საერთოდ არ მიმდინარეობს სახელმწიფო ენის შესწავლა. საინტერესოა, როგორ შეიძლება შევუდგეთ ქართული ენის შესწავლის პროგრამის განხორციელებას, როდესაც ძლანოვაკანში, პოკანში, კაურმაში, ასპარაში, როდიონოვკაში და სხვა დასახლებულ პუნქტებში სკოლის ასაკის ბავშვები მოკლებულნი არიან ქართული ანბანის სწავლის შესაძლებლობას? ხომ არ არის დრო, რომ ჩვენი პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულები – ფილოლოგები შემობრუნდნენ თავიანთი პროფესიისკენ, ახალგაზრდა თაობისაკენ და საქმით დაამტკიცონ პატრიოტობა? თუ არა ისინი,-ვინ ასწავლის ქართულ ენას სომეხ, აზერბაიჯანელ, რუს, ბერძენ ბავშვებს? დიახ, შეიძლება პერიფერიაში რთულია ცხოვრება და მუშაობა, მაგრამ ამ და სხვა რაიონების ხელმძღვანელობა მზად არიან ყველა შესაძლო პირობა შეუქმნან მათ, 2-3 წლით მაინც, ნაყოფიერი მუშაობისთვის.

ნინოწმინდის სკოლების მონახულების, არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად, სახელმწიფო ენის ფუნქციონირების აუცილებელი პირობების მოსამზადებლად, შევიმუშავეთ წინადადებები, რომლებიც გვინდა გავაცნოთ მკითხველსაც:

პირველი: სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი ყოველწლიურად უშვებს სომხური სკოლებისთვის ქართული ენისა და ლიტერატურის 10 სპეციალისტს. წელს განათლების სამინისტროს, უნივერსიტეტის რექტორატის და რაიონის ხელმძღვანელობის საერთო ძალისხმევით სასწავლებლად მიღებულია 13 აბიტურიენტი. აქედან 4 – შეღავათიანი პირობებით – ნინოწმინდის რაიონიდან. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ხსნის პრობლემას. აუცილებელია ორმაგად, სამმაგად გაიზარდოს სტუდენტთა კონტინგენტი ადგილობრივი ახალგაზრდობიდან. განსახილველია ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში დედაქალაქის პედაგოგიური და სხვა სასწავლებლების ფილიალების გახსნის საკითხი. შესამუშავებელია მაღალმთიან რაიონებში კურსდამთავრებულთა (შესაძლოა მაღალი კურსის სტუდენტებისა) რამდენიმე წლით აუცილებელი დასაქმების სისტემა.

მეორე: თავის დროზე, ქართული სალაპარაკო ენის შესწავლაში, დიდი წვლილი შეიტანა გაზეთ „ერასტანის“ („საქართველო“) საგანგებო რუბრიკამ. აქ, ყოველ ნომერში იბეჭდებოდა სასაუბროს დონეზე შესრულებული ქართულ-სომხური თარგმანი. სასურველია ამ რუბრიკის განახლება, თუნდაც სასაუბროს საჭირო ოდენობით გამოშვებამდე. უნდა ვიზრუნოთ ქართულ-სომხური ლექსიკონის გამოშვებისთვისაც, რაც ესოდენ აუცილებელია დღეს.

ქართული რადიოს სომხურ გადაცემებში იკითხებოდა ქართული ენის შესწავლის კურსი, მაგრამ ისიც შეწყვეტილია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთის და წალკის რაიონებში რადიოგადაცემები სომხურ ენაზე საერთოდ აღარ გაისმის მათი ნაკლები სიმძლავრის რადიოსადგურებზე გადაყვანის შედეგად. ფაქტობრივად გადაცემებს სომხურ ენაზე მიიღებენ მხოლოდ დედაქალაქის და მის მახლობლად მცხოვრები სომხები, რომელთაც ქართული ენა ისედაც შესანიშნავად ესმით. დროა წესრიგი დამყარდეს ამ საქმეში და ქართული ენის პროპაგანდაში ჩაერთოს, აგრეთვე, ტელევიზიაც. ყველა მსურველს საშუალება ექნებოდა გაევლო ქართული ენის შესწავლის კურსი მდგრადი ტელეგადაცემების საშუალებით.

მესამე: განათლების სამინისტრო ამჟამად იხილავს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის დამატებითი ხელფასის გამოყოფის საკითხს. ეს დროული და აუცილებელი ზომაა ადგილებზე სპეციალისტთა დამაგრებისთვის. დამატებითი ხელფასის ოდენობის დადგენის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ მანძილი რაიცენტრიდან სკოლამდე, არამედ დასახლებული პუნქტის კლიმატური და სოციალური პირობებიც. აღნიშნულ რაიონში, მართებული იქნებოდა, დამატებითი ხელფასის ოდენობა ერთნაირი ყოფილიყო, რაც თავიდან აგვაცილებდა მასწავლებელთა ერთი სკოლიდან მეორეში გადაყვანას. მით უმეტეს, რომ რაიონის ცენტრის სკოლები ასევე განიცდიან ქართული ენის სპეციალისტთა ნაკლებობას.

პირველი ნაბიჯი გადაიდგა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის უზრუნველყოფისათვის, სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთათვის, საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის 1997 წლის 15 სექტემბრის ბრძანებულების მიხედვით ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რწმუნებულთა ფონდებიდან, ასევე სამინისტროთა და უწყებათა სახსრებიდან ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებს გამოეყოთ 700 ათასი ლარი.

ეს თანხები გამოყენებული იქნება იმისათვის, რომ მხარეთა არაქართულ სკოლებისათვის დაიბეჭდოს ქართული ენის, ისტორიის, გეოგრაფიის, სამართლის სახელმძღვანელოები, ქართულ-სომხური, სომხურ-ქართული, ქართულ-აზერბაიჯანული, აზერბაიჯანულ-ქართული, ქართულ-რუსული, რუსულ-ქართული სასაუბროები, დარგობრივი ცნობარები, ქართული ენის თვითმასწავლებლები და შეღავათიან ფასებად გავრცელდეს.

ეს სახელმწიფოს მეთაურის კიდევ ერთი ჰუმანური ნაბიჯია, რომელიც ყველას გვავალდებულებს უკეთესად და მიზანდასახულად განვახორციელოთ ჩვენი კონსტიტუციური უფლება სახელმწიფო ენის შესწავლის სფეროში. ადგილებზე რეალიათა განსაზღვრა, არსებულ პრობლემათა შესწავლა, ყოველი რაიონის, დასახლებული პუნქტის კონკრეტული ვითარებიდან გათვალისწინებით საქმის წარმართვა საშუალებას გვაძლევს ლეგალურად და საგნობრივად ვიმოქმედოთ, მით უმეტეს, რომ საქართველოს 1998 წლის ბიუჯეტში განსაზღვრულია უფრო დიდი თანხები ამ მიზნებისთვის, ხოლო პროგრამა გრძელდება 2000 წლამდე.

ჩვენი სახელმწიფოს მიერ დაწყებული საქმიანობა ძალზედ პასუხსაგები და შრომატევადია და აქ ფასდაუდებელია – ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლისა და სრულყოფის საქმეში მთავარი ფიგურის – მასწავლებლის როლი, რომელსაც დაეკისრა ისტორიული მისია – შეასწავლოს ქვეყნის არაქართველ მოსახლეობას ქართული ენა, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სახელმწიფო ენა – ენა შოთა რუსთველისა და დიდი ილიასი, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი ენა.

**ჟორა სნხჩიანი,**
საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ეროვნებათაშორისი ურთიერთობის განყოფილების რეფერენტი.



### სუფსის ტერმინალი – გურიის ელდორადო

სუფსის სახმელეთო ტერმინალზე დასაქმებულთა 74 პროცენტი ადგილობრივი მუშახელია. მუშაობის მსურველთა რიგები კი დღითი-დღე იზრდება. დასაქმების დეპარტამენტის გურიის სამმართველოს ოზურგეთში უკვე 2000-მა პირმა მიმართა ტერმინალზე დასაქმების მოთხოვნით, ლანჩხუთის რაიონში კი ანალოგიური სურვილი 3000-ზე მეტ ადამიანს აქვს.

### ბიუჯეტის გამოკეთებას კარგი პირი უჩანს

9 თვის შედეგებით გურიის მხარემ საბიუჯეტო შემოსავლის გეგმა 91,4 პროცენტით შეასრულა, რაც ფულად გამოხატულებაში 2.263.000 ლარია. მიღებული შემოსავლის 65.8 პროცენტი ოზურგეთის რაიონის ანგარიშზეა. ლანჩხუთის რაიონში მობილიზებულია 471.000 ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94 პროცენტი. მხოლოდ ჩოხატაურმა შეასრულა გადაჭარბებით 9 თვის საბიუჯეტო გეგმა.

### ტელევიზიის პირველი არხი – კოდორის ხეობაში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ ერქვანიას განცხადებით, საქართველოს კავშირგაბმულობის თანამშრომლები ინტენსიურად მუშაობენ კოდორის ხეობაში, სოფელ გენწვისში არსებული ანძის მწყობრში ჩასაყენებლად. მისი თქმით, კოდორის ხეობის მოსახლეობას პირველი იანვრიდან საშუალება ექნება მიიღოს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის გადაცემები.

### პოეტი კოსტა მარგიევი 75 წლისაა

კოსტა მარგიევი 1941 წელს, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, მოხალისედ წავიდა ფრონტზე, საკუთარ მხრებზე გადაიტანა ომის საშინელება. ამიტომაც არის, რომ მის შემოქმედებაში ფართო ადგილი უკავია ომის თემას. მისი პოეზია მრავალწახნაგოვანია. მკითხველს ხიბლავს პოეტის ლირიკული ლექსები პირველ სიყვარულზე, ქალზე; დედაზე, კავკასიაზე. დღემდე გამოცემული მისი ლექსების რამდენიმე კრებულიდან ზოგი ქართულადაც არის ნათარგმნი.

პოეტს იუბილე მოულოცეს გაზეთებმა „იუჟნაია ოსეტიამ“ და „ხურზარინმა“.

### კადრები

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შალვა კვირიკაშვილი გათავისუფლდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „მოამბე-ექსპრესმა“, ჩვენმა კორესპონდენტებმა.**

## „აბჟარი — 97“

# ლტოლვილები – წვრთნის მონაწილეებს

აფხაზეთის მეომართა კავშირის სამეგრელოს რეგიონული ორგანიზაციის ინიციატივით საქართველოს სამხედრო ძალების ფართომასშტაბიანი წვრთნის მონაწილეებს 9 ოქტომბერს ყულევში ეწვია აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდობის შემოქმედებითი ჯგუფი „ცხუმი“ (ხელმძღვანელები – სოხუმელი პედაგოგები მანანა დადიანი, ეთერ გვალია), რომელიც დროებით ფოთშია განსახლებული.

შემოქმედებითი ჯგუფის წევრებს, რომლებიც აფხაზეთის ომში მონაწილეთა ოჯახების წევრებისგან შედგება, განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ საწვრთნელი ოპერაციიდან ახლად დაბრუნებული მეორე მოიერიშე ბრიგადის მეომრები. მასპინძლებმა სტუმრები თავიანთ კარვებში მოიწვიეს ჯარისკაცულ ვახშამზე, შემდეგ კი ზღვის სანაპიროზე ღია ცის ქვეშ სახელდახელო სცენა გაუმართეს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა აფხაზეთის მეომართა კავშირის რეგიონული ორგანიზაციის წევრმა მერაბ მირცხულავამ. შეხვედრის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ამას წინათ საწვრთნელი ოპერაციის დროს დაღუპული ორი ჯარისკაცის ხსოვნას.

შემდეგ ასპარეზი დაეთმო „ცხუმს“, რომლის პროგრამა აფხაზეთში მომხდარ ტრაგედიას მიეძღვნა.

**იოსებ გოგეჩია,**
„სრ“ საკ. კორ.



სურათზე: წვრთნის დროს.
თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკა
№254, კვირა, 12 ოქტომბერი, 1997 წელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიუჯეტი

# მინისტრი მომთხოვნია, და არა მხოლოდ სხვების მიმართ

„მოდით, ვცადოთ! ხომ შეიძლება, ექსპერიმენტი ჩავატაროთ, ერთხელ მაინც ყველამ გავაკეთოთ მაქსიმუმი და ვნახოთ შედეგი“? რა შეიძლება დავარქვათ ასეთ წინადადებას, როცა ის მინისტრისაგან მოდის, ხოლო აუდიტორიამ მშვენივრად იცის, რომ მისგან შეუძლებელს არ მოითხოვენ.

და მაინც, ფაქტია, რომ მესამე კვარტალისა და 9 თვის შედეგების მიხედვით ძნელია იმედი ვიქონიოთ, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტი შესრულდება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის მირიან მურჯიკნელის ინფორმაციით, ბიუჯეტის შეუსრულებლობა თუნდაც იმიტომაა საგანგაშო, რომ ქვეყანა დაკარგავს გრანტს 17 მლნ ეკიუს ოდენობით. ეს კი ნიშნავს, რომ ველარ დავაფინანსებთ გათვალისწინებულ პროგრამებს.

მიზეზები?

„სუბიექტური“ თუ „ობიექტური“ – რამდენიც გნებავთ!

თურმე, ასეთი გამოთქმაც არსებობს: „აღიარებული ვალები“.

– მშვენიერია! ვაღიარებ, თუკი გადახდას არავინ მომთხოვს, – აცხადებს ქვეყნის საგადასახადო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე თეიმურაზ დვალი.

„აღიარებული ვალების“ პატრონები კი ასევე „აღიარებული“ გაჭირვებული საწარმოებია, რომელთაც ფარად ჯადოსნური სიტყვა აქვთ – „მიჭირს“.

სამწუხაროდ, ქვეყანასაც უჭირს, ოღონდ მასშტაბი გაცილებით გლობალურია.

ფსიქოლოგია კი, ჩანს, ისევ მყარად დგას პოსტკომუნისტურ ან გაცილებით ადრინდელ საფუძველზე და ქართველს მამული ისევ მარტო თავისი „ტყრუშული ღობით“ შემოღობილი ეზო ჰგონია.

ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის ბოლო სხდომა მძიმე აღმოჩნდა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან ექვს საათზე მეტ ხანს გასტანა. აქ პირდაპირ და ღია ტექსტით ითქვა, რომ ბიუჯეტის შესრულებისათვის ზრუნვა მარტო სამწუხარო სტატისტიკის დაფიქსირება, მიზეზთა ჩამოთვლა და მერე დაპირება – მაინც შევასრულებთო, – არ არის და ის თითოეული თეთრისათვის უკომპრომისო ბრძოლას გულისხმობს.

წარმოუდგენელია დავიჯეროთ და, ბუნებრივია, ვერც ფინანსთა მინისტრს დააჯერებს ვინმე, რომ საგადასახადო სამსახურის თანამშრომლებმა არ იციან არყის სახდელი რამდენი ქარხანა მუშაობს, რა რაოდენობის საქონელი იყიდება ბაზრობებზე ან რამდენი რეალიზატორია დაუბეგრავი.

„თქვენი თუ არ ეშინიათ, ნიშნავს, რომ არ მუშაობთ და თუ მუშაობთ, მაშინ ეს სხვა შეკითხვას ბადებს“, – შეუვალია მიხეილ ჭკუასელის ლოგიკა, რადგან ის ყველაზე დიდ არგუმენტს – სიმართლეს ემყარება.

თუმცა ჯაჭვს, რომელიც ხელფეხს გვიბორკავს დროზე გავცეთ ხელფასები, პენსიები თუ უმწეოთა დახმარებები, სხვა რგოლებიც აქვს. ეს საგადასახადომაც მშვენივრად იცის და არც დაფარავს, რადგან სხვა თუ არაფერი, თავის გასამართლებლად მაინც სჭირდება.

თეიმურაზ დვალის თქმით, დარჩენი თანხების მობილიზება გაჭირდა, რადგან მსხვილმა გადამხდელებმა აშკარად შემცირებული მონაცემები აჩვენეს. გაირკვა, რომ ასეთთა შორის ფოთის ნავსადგური, რკინიგზა და სხვები არიან.

რაც შეეხება ვალებს, გადახდისუუნარო საწარმო-დაწესებულებები ჯერ კიდევ მშვიდად არიან, რადგან კანონი გაკოტრების შესახებ ფაქტობრივად არ ამოქმედებულა – ვალაუვალობის გამო არავინ არავის ქონებას არ შეხებია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი კი კატეგორიულად მოითხოვს ამ კანონის მთელი სიმკაცრით ამოქმედებას, რაც შექმნის პრეცედენტს, რომ სახელმწიფო ქონების განიავება ხუმრობა არ არის და იგი გაცემულ არც ერთ ლარს არ დაკარგავს.

გაირკვა, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის მომწოდებელ ქვეყანაში გადახდისა და მერე აქ „ჩათვლის“ მექანიზმი სერიოზულ დარტყმას აყენებს ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტს, რადგან მანიპულირების „ქართული ნიჭი“ აქაც მშვენიერ გამოსავალს პოულობს და მას საბუთის გაყალბება ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაცილებით უიოლდება. დღემდე, თურმე არ არის გარკვეული, არის თუ არა თხევადი გაზი ნავთობპროდუქტი. შესაბამისად, საბაჟომ არ იცის, რა კატეგორიას მიაკუთვნოს ის საზღვრის გადმოკვეთისას. თუმცა, ცხადია ისიც, რომ არც ნავთობპროდუქტების შემოტანისას არის ყველაფერი „აქურში“ – სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, რასაკვირველია!

რაც შეეხება სიგარეტის ბიზნესს, საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის, თენგიზ აბულაძის ინფორმაციით, უკვე ორი კვირაა, რაც ახალი კანონი ამოქმედდა, რომლის თანახმადაც ფიქსირებული გადასახადი იმპორტულ სიგარეტზე დაწესდა კლასების მიხედვით – 25 და 19 თეთრი, ტრანზიტზე კი – 9 თეთრი. დეპარტამენტი თვლის, რომ საბაჟოს შემოსავლებში სიგარეტის ბიზნესიდან შემოსული თანხების მკვეთრად დაცემა იმან განაპირობა, რომ ბოლო დროს მომხდარმა მოვლენებმა ეს ბიზნესი ყურადღების ცენტრში მოაქცია. ამიტომ იმპორტული სიგარეტის რეალიზატორ ფირმებს უჭირთ გარისკონ მანიპულირება საბაჟოზე, თორემ, ალბათ, მშვენივრადაც ხვდებიან, რომ 25 თეთრით ერთი კოლოფის დაბეგვრას საქონლის იმპორტის რეჟიმიდან ტრანზიტის რეჟიმში „გადათამაშება“ ურჩევნიათ.

თენგიზ აბულაძის თქმით, ასეთი განსხვავება ფიქსირებულ გადასახადში ძალაუნებურად უბიძგებს ბიზნესმენს დანაშაულისაკენ. ამიტომ თუ შეგნებულად არ გვინდა კაცი დამნაშავედ ვაქციოთ, ფიქსირებული გადასახადი რეალური უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ლავირების ასეთ საშუალებას არ უნდა იძლეოდეს.

„თუკი ქვეყნის საბაჟო კარიბჭეს საიმედოდ ჩავკეტავთ და თუკი კონტრაბანდისტებს ყველა ნაპრალს ამოვუვსებთ, საბაჟო დეპარტამენტის შემოსავალმა შეიძლება მილიარდსაც მიაღწიოს“, – განაცხადა თენგიზ აბულაძემ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი საბაჟოს ხელმძღვანელს დაჰპირდა, რომ ამ ეტაპზე შეეცდება გამოძებნოს სახსრები წითელ ხიდზე საკონტროლო გამშვები პუნქტის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მოსაწყობად.

– მხოლოდ ვარ, მეგობრებო, თითოეულს ცალ-ცალკე, გნებავთ, – ყველას ერთად, – [illegible] ბოლოს მიხეილ ჭკუასელმა კოლეგიის სხდომის მონაწილეებს და თან დაჰპირდა, რომ მათ მეორე დილითვე ხელთ ექნებოდათ კოლეგიის გადაწყვეტილება და მინისტრის შესაბამისი ბრძანებები.

დაპირება კი ასეთია: ერთ კვირაში მაგიდაზე მეწყოს თითოეული თვის მიხედვით გაწერილი რეალური ინფორმაციები ყველა სამსახურიდან!

სიტუაცია ბიუჯეტის შესრულების თვალსაზრისით საგანგაშოა, – ასეთია ფინანსთა მინისტრის შეფასება. ამიტომ მისი პოზიცია მკაცრია: სანამ ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ თუნდაც შეუძლებელს შეძლებთ, გთხოვთ და მოგთხოვთ მაქსიმალურ მობილიზებას. თუკი ვინმე საქმეს ვერ [illegible], გაათავისუფლეთ სამსახურიდან!

ეტყობა, მინისტრს მართლაც მოუწევს [illegible] სკამიდან დაძვრა, თუკი ისინი ბიუჯეტისკენ სახსრების დაძვრას ვერ შეძლებენ.

პრეზიდენტის საფინანსო პროგრამის განხორციელება ადვილი ნამდვილად არ არის, მაგრამ არც შეუძლებელია, თუკი გულგრილობას დავძლევთ და [illegible]. მით უფრო, რომ მიხეილ ჭკუასელის თქმით, ამ პროგრამის 90 პროცენტი შესრულებულია. რაც შეეხება დანარჩენ ათ პროცენტს, [illegible], რომ მის შესასრულებლად ახალგაზრდა მინისტრი პრეტენზიას, უპირველესად, საკუთარ თავს უცხადებს.

ელზა ჯ[illegible]ძე.

## საქართველოს რკინიგზა 125 წლისა

**10 ოქტომბერს 125 წელი შეუსრულდა საქართველოს რკინიგზას. ამ დღეს ფოთიდან თბილისში პირველი მატარებელი შემოვიდა.**

**იუბილესთან დაკავშირებით ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენცია გამართა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარემ აკაკი ჩხაიძემ. რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტის ბრძანებულებით აკაკი ჩხაიძე და დეპარტამენტის 4 მუშაკი ღირსების ორდენით, 23 მუშაკი ღირსების მედლით დაჯილდოვდა, 30-ს კი მადლობა გამოეცხადა.**

# მთელი ქვეყნის სასიკეთოდ

ბოლო ორი წლის მანძილზე დეპარტამენტის საქმიანობაში შესამჩნევი ცვლილებები მოხდა – გაიზარდა ტვირთზიდვა, შემცირდა დანიშნულების ადგილამდე შემადგენლობათა მისვლის დრო. ყოველივე ამან ასახვა პოვა სამეურნეო მაჩვენებლებშიც. წლეულს, 9 თვეში, გადაიზიდა 4166 ათასი ლარის ტვირთი, რაც შარშანდელი მთელი წლის მაჩვენებელზე ბევრად მეტია.

ძირითადი ტვირთი ამჟამად ნავთობია. აზერბაიჯანის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ამოქმედებამ რკინიგზის დატვირთვა კიდევ უფრო გაზარდა. მარტო „შევრონის“ ხაზით უკვე გადაზიდულია 700 ათასი ტონა ნავთობი, ყოველდღიურად, როგორც წესი, 3-4 შემადგენლობა შემოდის. ნოემბერში ტვირთის მოძრაობა 300 ათას ტონას მიაღწევს. აქვე დავძენთ, რომ გადატანილ თითოეულ ტონაში დამკვეთი 7 დოლარს იხდის. მომავალ წელს საქართველოს რკინიგზის მეშვეობით გადაიზიდება 3,5-4 მილიონი ტონა ნავთობი. გამორიცხული არ არის, რომ ჩეჩნეთის გავლით მილსადენის მშენებლობის დამთავრებამდე რუსეთის გასატანი ნავთობიც ჩვენი რკინიგზის გადასაზიდი გახდეს.

კითხვაზე, რამდენი ტონა ტვირთის გატარება შეუძლია დღეს საქართველოს რკინიგზას, დეპარტამენტის თავმჯდომარემ უპასუხა: – ჩვენი შესაძლებლობა 15 მილიონ ტონას უტოლდება, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ტერმინალებით უზრუნველყოფის მხრივ. ამას სამთავრობო ზრუნვა სჭირდება, რადგან დეპარტამენტს მათ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მიღება არ შეუძლია. ფოთში ახალი ტერმინალის ამოქმედება კასპიისა და ყაზახეთის ნავთობის გამოტანის შესაძლებლობას შექმნის.

ამჟამად დეპარტამენტის განკარგულებაშია 3 ათასი ცისტერნა, თუმცა ყველა ნავთობისათვის არ არის გამოყენებული. დეფიციტის შევსება შეიძლება აზერბაიჯანიდან, კერძო კორპორაციებიდან. ამჟამად საქართველოს რკინიგზით 20-30-ტონიანი კონტეინერებით დასავლეთისაკენ გაიგზავნება შუა აზიის ბამბა.

დეპარტამენტის თავმჯდომარემ ჟურნალისტთა ყურადღება მიაქცია ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს. ნებისმიერი დამკვეთი ტვირთის სწრაფი გადატანით არის დაინტერესებული, ჩვენთან შემოსულ შემადგენლობას კი დაახლოებით 8-9-ჯერ ამოწმებენ. თუ პრობლემა არ მოგვარდა, დამკვეთმა დახმარებისათვის შეიძლება სხვას მიმართოს. ეს მთელ ქვეყანას დიდ მატერიალურ ზარალს მიაყენებს.

იმისათვის, რომ ტვირთის გადატანაც დაჩქარდეს და რკინიგზის გამტარუნარიანობაც, მთელი რიგი ღონისძიებები ხორციელდება. ფოთში შენდება საკონტეინერო მოედანი, სურამის უღელტეხილზე გაჰყავთ მეორე ხაზი, მარელისი-ხარაგაულის გადასარბენი, შენდება ორლიანდაგიანი ხიდი. ელმავალმშენებელი და ვაგონშემკეთებელი ქარხნები, რომლებიც დეპარტამენტის შემადგენლობაში შედიან, უშვებენ პროდუქციას, ადრე რუსეთიდან რომ შემოჰქონდათ. სწორედ ვაგონშემკეთებელ ქარხანაში დამზადდა სპეციალური პლატფორმები, რომლებიც მძიმეწონიან ავტომანქანებს გადაიტანს. ეს პერსპექტიული საქმეა და ხელს შეუწყობს ტვირთების მოზიდვას. ტვირთები სწორედ ამ წესით წავა აზერბაიჯანში, სომხეთსა და შუა აზიაში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ასეთი გადაზიდვა ეკოლოგიურად სუფთაა, თანაც საავტომობილო გზებსაც განტვირთავს. ამ და სხვა ღონისძიებათა [illegible]ობით 1999 წელს, სულ ცოტა, 12 მილიონი ლარის ტვირთი გადაიზიდება.

შედარებით გამოსწორდა დეპარტამენტის ფინანსური მდგომარეობა. ამან თანამშრომლებისათვის ხელფასის გადიდების საშუალებაც შექმნა.

ხელისშემშლელი მიზეზების ჩამოთვლისას ბატონ აკაკი ჩხაიძეს სტუმართა ყურადღება არ გადაუტვირთავს, თუმცა [illegible] ვერ აუარა ელექტროენერგიით უზრუნველყოფას. იმის გამო, რომ დენი ხშირად ირთვება, ან ძაბვა ეცემა, თვეში 30-40 ათას ლარს ზარალობენ. დეპარტამენტმა „ზაპესის“ შესყიდვა მოისურვა, მაგრამ სამინისტრომ სასტიკი უარი თქვა, თუმცა არც მიყენებული ზარალის ანაზღაურებას აპირებს. ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემის მოგვარებაც სახელმწიფომ უნდა ითავოს.

ქართველ რკინიგზელებს შესანიშნავი ტრადიციების გაგრძელების სურვილიც აქვთ და მონდომებაც. ვუსურვებთ წარმატებას, რადგან ეს წარმატება მთელ ქვეყანას წაადგება.

ელგუჯა ლებანიძე.



**სურათზე: ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მოწინავენი — მემანქანეები (მარცხნიდან მარჯვნივ) ჯემალ ქურდაძე, კუკური ნოზაძე, მემანქანე-ინსტრუქტორი ნოდარ მახათაძე.**

გურამ ციმერიძის ფოტო.

ღვაწლი

# ძია პეტრე-რწმენით სავსე კაცი



სამსახურში ბატონ პეტრე პაპიაშვილს ყველა ძია პეტრეს ეძახის.

დაილაპარაკებს თუ არა, უმალ მიხვდები, თბილისელი კაცია, ავლაბრელი. გვიყვება: ოთხი და-ძმანი ვიყავით, მამა მეწაღე იყო და მაშინდელ ამიერკავკასიის ფაბრიკაში ფეხსაცმელებს კერავდა...

შვილებსაც სულ იმას ჩასჩინებდა, შრომის ყადრი სცოდნოდათ.

პეტრე თვრამეტი წლისა იყო, სამთავრობო დაცვაში მუშაობა რომ დაიწყო, — მაშინ ცკ პირველ მდივნად ვასილ მჟავანაძე მუშაობდა, შესანიშნავი პიროვნება იყო და ყოველთვის სიამოვნებით მახსენდება მასთან გატარებული წლები, კარგი დრო იყო: უფასოდ მაძლევდნენ ჩასაცმელს, უფასო საგზურებით ოჯახთან ერთად დავდიოდი კისლოვოდსკში, ესენტუკი-ჟელეზნოვოდსკში, ბორჯომში. ხელფასითაც კმაყოფილი ვიყავი, ახლა ვინც რა უნდა თქვას, მე კი პარტბილეთს დღესაც საგულდაგულოდ ვინახავ. ძველი გვარდიის კაცი ვარ და მეამაყება...

ეჰ, ძია პეტრე, გასაგებია თქვენი პოზიცია, რადგან, რაც შეგეძლოთ იმას აკეთებდით ჩუმად, უხმაუროდ. რამდენმა წყალმა ჩაიარა თქვენს თვალწინ, რამდენი რამ შეიცვალა, თქვენ კი იმად დარჩით, რაც იყავით. ახლაც სიკეთით გიბრწყინავთ თვალები, სამოცდათორმეტი წლის ამაგდარ კაცს ღიმილი ისევ დაგთამაშებთ სახეზე, ალბათ ისე, როგორც უწინ, ახალგაზრდობისას.

— **მოგწონთ სახელმწიფო მოხელეებთან მუშაობა?** — ვკითხე.

— საინტერესო ხალხია. ახლებსაც კარგად ვიცნობ, ძველებსაც. ძველები უფრო გამოცდილები და უღალატონი არიან. იციან, ვის როგორ მოეპყრან. დიახ, კარგი ადამიანების გვერდით მიმუშავია, აბა განსაჯეთ: ორმოცდაათი წელიწადია სახელმწიფო კანცელარიის საფინანსო-სამეურნეო სამსახურის მუშა ვარ...

ეამაყება, რომ ჩვენს პრეზიდენტსაც პირადად იცნობს.

— დილის ცხრის ნახევრიდან საღამოს 6 საათამდე ხომ სამსახურშია, შაბათ-კვირასაც არ ისვენებს. ძია პეტრე ნებისმიერი ჩვენთაგანისთვის საყვარელი კაცია, — გვეუბნება საფინანსო სამსახურის უფროსი კომენდანტი ტრისტან დალაქიშვილი — რაც გინდა დაავალო, ხუთ წუთში ყველაფერს გააკეთებს...

საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსს ნუგზარ ქევხიშვილს კი, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს კანცელარიაში მომუშავე ადამიანებს, აბა, როგორ გამორჩებოდა ძია პეტრეს ასეთი თავდადება და ამიტომაც მან თანამშრომელთა დიდი სურვილით მუშა კაცი პრეზიდენტის ჯილდოზე წარადგინა.

ახლა კი ბატონი პეტრე ყველას სიამოვნებით გვიჩვენებს პრეზიდენტის მადლობის წერილს, რომელშიც ნათქვამია:

**„საქართველოს ხელისუფლების და პირადად ჩემი სახელით დიდ მადლობას მოგახსენებთ ხანგრძლივი, კეთილსინდისიერი, თავდადებული მუშაობისათვის.**

**თქვენი დაუღალავი საქმიანობა, შრომისადმი ერთგულება დიდ სიკეთესა და დახმარებას უწევს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სამეურნეო საქმიანობას.**

**გისურვებთ პირადად თქვენ და თქვენს ოჯახს ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს.**

**ედუარდ შევარდნაძე.“**

— ისე ვარ შრომას შეჩვეული, ყოველ დილით აქ რომ არ მოვიდე, არ შემიძლია. არც ჯანმრთელობას ვუჩივი და თუ ზოგჯერ უგუნებობა მომივლის, ჭიქა კახური ღვინოა ჩემი წამალი. არც სიმდიდრეზე მიფიქრია, არც არასოდეს მომიპარავს. მშვიდად, უხმაუროდ გამიტარებია ჩემი წლები...

და რაოდენ მრავლისმთქმელია, რომ არც პრეზიდენტს გამორჩა მხედველობიდან ჩრდილში მდგომი პატიოსანი კაცი. მისმა თბილმა სიტყვებმა სიხარულით აღანთო ძია პეტრეს გული.

**ლია ჟიღლაძე.**

# ჩემი სოფლის ადამიანები

**ქალაქში გადმოხვეწილი, ამ ბოლო დროს სოფელში იშვიათად ჩავდივარ. ამის მიზეზი, ალბათ, გამოკეტილი სახლია — უკვე წავიდნენ ჩემთვის ძვირფასი ადამიანები. როგორც მოწყვეტილი ფოთოლი აღარ დაუბრუნდება ხეს, ისე ისინი აღარ დაუბრუნდებიან ამ ქვეყანას. მე უნდა გავთელო ბილიკზე ამოსული ბალახი, ბორძიკ-ბორძიკით გავიკვალო გზა, ჯიბეში მოვიძიო გასაღები და შევაღო დიდი ხნის წინათ დახშული სახლის კარი... გულზე უეცრად შემომაწვება ჩახუთული ჰაერი, ფილტვებში ჩამიძვრება და სუნთქვას შემიკრავს. გავხსნი თუ არა ჩაგმანულ ფანჯრებს, მაშინვე აცეკვდებიან დედაჩემის ხელით დაკიდებული ფარდები... ნელ-ნელა ცოცხლდებიან მოგონებები. მთვარეულივით მოვივლი დამტვერილ ოთახებს და კედელზე მიკრულ სურათებთან გავჩერდები. ნაღვლიანი თვალებით, ჩუმი საყვედურით შემომცქერიან ჩემი მოხუცები...**

— წამოდი, ჩვენთან დაიძინე, ელგუჯა პაპავ, — მეუბნება მეზობლის შვილიშვილი თამთა.

რაც დედ-მამა დამეხოცა, იმის შემდეგ უკეთ მეგობარი გუმარი პაპა და ვენერა ბებო. სულს არ იშურებენ ჩემთვის, ისინიც თამთასავით თვალებში შემომცქერიან და აღარ იციან, რითი მასიამოვნონ. კი, ჩემო თამთა, ჩემო გუმარი პაპა და ვენერა ბებო, ძალიან, ძალიან მიყვარხართ. თქვენთან ყოფნას არაფერი სჯობს, მაგრამ... მე მაინც ამ მტვრიან ოთახებში დავრჩები, რათა მთვარის შუქს შემოყოლილ წინაპართა სულებს გავესაუბრო.

შუაღამე უკვე გადასულია. დიდი ხანია, თამთას ღრმა, უშფოთველი ძილით სძინავს. მე და გუმარი პაპას წინ ხელადით მარმანდელი მოსავლიდან ძლივს შემორჩენილი ღვინო გვიდგა. ჭიქებს ნელ-ნელა, დაგემოვნებით ვწრუპავთ. ჩვენი ხათრით ვენერა ბებოც ფხიზლობს. მთელი დღე გარჯაშია, მთელი ოჯახის საქმე მასა აქვს წამოკიდებული. დილით კრუხწიწილა უნდა დააპუროს, თამთა სკოლაში წაიყვან-წამოიყვანოს, განსაცმელი გამოუცვალოს, ასადილოს. თამთა ცოტა ხნით გოლებში გაიქცევა, ითამაშებს, იცელქებს. მერე ის და ვენერა ბებო მაგიდას მიუსხდებიან, ორიანებისა და სამიანების წერაში ვარჯიშობენ, რადგან ჯერ ოთხიანებსა და ხუთიანებზე არ გადასულან. თამთას დინჯად, წვალებ-წვალებით გამოჰყავს ასოები. ვენერა ბებო კი ჩქარობს: იქით ბოსტანი ელოდება და აქეთ ჯამ-ჭურჭელი. მე და გუმარი პაპა ვისმენთ ბებია-შვილიშვილის დუდღუნს და ვიცინით.

თამთა ორი წლისა იყო, მამა რომ გარდაეცვალა. დედამისს ნათესავმა მოჰკიდა ხელი და ქალაქში წაიყვანა, ორიოდე გროშს იშოვი, ბავშვსაც მიხედავ და შენს თავსაცო. და დარჩა თამთა პაპასა და ბებოს ანაბარა. დედა ორ კვირაში ერთხელ ჩამოვა, საჩუქრებს ჩამოუტანს. გულს იჯერებენ ერთმანეთის ცქერით. მერე დედა ისევ ქალაქის გზას დაადგება, თამთა კი ცრემლიანი თვალებით მიაცილებს...

გუმარი პაპა ხასიათის კაცია. ქანცგამწყვეტი ფიზიკური შრომა მაინც-დამაინც არ უყვარს. აკეთებს მხოლოდ იმას, რაც აუცილებელია. ყურძენი უკვე დამწიფდა. წესით ხვალ ზვარში უნდა გაყიდეს, მაგრამ არ ჩქარობს — ჯერ აბეტი პაპას მივეხმარები, მერე ჩემს ვენახს გამოვკრეფო. აბეტი პაპა ჩვენი მეგობარია. მეც, გუმარი პაპასაც და აბეტი პაპასაც სახელები თამთამ შეგვარქვა, თორემ, მე ელგუჯა მქვია, გუმარის — გურამი, აბეტის — ალბერტი.

ზამთრისათვის რცხილისა და წიფლის შეშაც მოუმარაგებია. „დრუებით“ სალუმელედ დახერხილ მორებს ალესილი ცულით „წაეთამაშება“, ოღონდ ისე, ოფლი რომ არ გამოუვიდეს. თუ ძმაკაცებმა არ მოაკითხეს, სათვალეს მოირგებს, ტახტზე წამოგორდება და ქალაქიდან ჩემს მიერ საგანგებოდ მისთვის ჩამოტანილ გაზეთებს ჩაუღრმავდება. მეუღლის ასეთი არხეინობა ვენერა ბებოს ყელში აქვს ამოსული. გაივლის თუ გამოივლის, აუცილებლად რაღაცას ჩაილაპარაკებს. გუმარი პაპა ყურსაც არ იბერტყავს — ცოლის ჯაჯღანს უკვე შეგუებულია.

— შენც ადექი და გააკეთე, ხო შეგიძლია, რას ალაპარაკებ, — ვეუბნები.

— ეჰ, უგუჯა პაპავ. სხვაც ბევრი რამე შემიძლია, მაგრამ ეგ რო გავაკეთო, ახალ-ახალ საქმეს გამოხავს — მოერჩეთ და მერე შევუბეროთო. ყურძენი კი ესხა და რა ესხა! საღამოს, დაღლილ მკრეფავებს ფეხები ძლივსღა დაჰქონდათ. — რაც სიგრძე აქვს, სიგანე უნდა მისცე, ვინც პირველად რთველში დაპატიჟება მოიგონა. დაპატიჟება გაშლილ სუფრაზე გამიგია, აქ კი მუშაობით წელი უნდა მოიწყვიტოო, — ჩივის აბეტი პაპას მოყვარე ქალა.

აბეტი პაპაც და ქალბატონი იზოლდაც გვარიანად არიან დაქანცულები, მაგრამ რთველს კარგი პურმარილიც უხდება. ოჯახის დიასახლისი და რძალი ციბრუტივით ტრიალებენ, რომ სუფრა გაშალონ და მეზობელ-მოკეთეებს საკადრისი პატივი მიაგონ. მე და აბეტი პაპა განზე ვდგავართ და ვსაუბრობთ. მძიმე იყო წლევანდელი ზაფხული. არც სეტყვამ მოასვენა გლეხკაცი და არც გადაუღებელმა წვიმებმა. ასეთი ჭინჭყლი ამინდები ვენახის მტერია. თავიც რომ თვალებში ცრემლი უბრწყინავს აბეტი პაპას. მე თუ მკითხავ, არც უნდა წასულიყვნენ... ჭირია თუ ლხინია, შენს სამკვიდროში უნდა დაეტიო.

— ვულკანიზაცია რომ გახსენით, არაფერი გამოვიდა?

— ამათ რო ვულკანიზაცია გახსნეს, იმის მერე საბურავებს პირითა ბერავენ, — გაიცინა გუმარი პაპამ. — გიამაც იმიტომ აახვია ლარები...

ერთი ბიჭი კიდევ ჰყავს აბეტი პაპას — დათო. ისიც მამასავით დინჯი და გამრჯეა. ხელიდან ყველაფერი გამოსდის — ტექნიკაც ემარჯვება და ცელის ტრიალიც.

— მშვიდობა იყოს და, აბეტი პაპავ, საყვედური არ გეთქმის. ოჯახი დოვლათითა გაქვს სავსე.

აბეტი პაპამ ალალად შემომღიმა და ხელებზე დაიხედა. ამით გამცა პასუხი.

* * *

... მუკუზანი ისეთ ადგილზე მდებარეობს, ისტორიის ქარტეხილებს მისთვის არც ავი დაუკლიათ და არც კარგი. აქ იყრიან თავს თელავიდან, ყვარლიდან, გურჯაანიდან, ძველისძველი ჭერემიდან მომავალი გზები. ამ გზებს მოყვარეც ბევრი მოჰყავდა და მტერიც. სოფელი ბევრჯერ აღგვილა პირისაგან მიწისა, მაგრამ გაივლიდა დრო, ხნულში ისევ ჩავარდებოდა მარცვალი, გადაჯეგილი ვაზიც ისევ ამოიყრიდა ყლორტებს და ახალაღდგენილ ტყრუშულ ლობეზეც მალე აყიელდებოდა.

## იმედი

აბეტი პაპა ჩემზე ოთხი თუ ხუთი წლით უმცროსია. ამიტომ ბავშვობაში მეგობრობით ერთმანეთს კალთებს არ ვახევდით. ახლა კი, ორი თუ სამი წლის მანძილზე, უცბად აღმოვაჩინე, რომ მეგობრობისათვის ასაკის სხვაობას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ბევრი რამ მომწონს აბეტი პაპასი, მაგრამ ერთი რამ განსაკუთრებულად — თვითონაც მუყაითი, გამრჯე კაცია და ცოლ-შვილიც ასეთი ჰყავს. მხარში ღირსეული მეუღლე უდგას და შვილები და შვილიშვილებიც ახვევია. იმასაც, გუმარი პაპასი არ იყოს, ძალიან უყვარს სტუმარი, უყვარს და აფასებს, მაგრამ, ქვეყანა რომ იქცეოდეს, საქმეს არ უღალატებს. ვენახია შესაწამლი თუ ყანა გასათოხნი, კვალი ბოლომდე უნდა გაიტანოს.

აბეტი პაპამ ერთი მომცრო ვენახი ამ ორიოდე კვირის წინ დაკრიფა და ახალი ღვინით გამასპინძლებას გვპირდება.

ხვალამდე კიდევ გრძელი ღამეა, ამიტომაც არ ვჩქარობთ მე და გუმარი პაპა. გუმარი პაპას ორ ადგილზე აქვს ვენახი — ერთი მომცრო, მამის დანატოვარი, მეორე, უფრო ვრცელი — მეურნეობიდან მილებული. ორივეს ისე უვლის, რომ არც მწვადი დაწვას და არც შამფური, ხელიდან წასული რომ ეგონა, სწორედ წინა დღეს დავათვალიერეთ ვენახები და აღმოვაჩინეთ, რომ, თურმე, როგორცა ქუხს, ისე არ წვიმს: იმდენ ყურძენს მოიწევს, ოჯახშიც იმყოფინებს და ცოტა ქარხანასაც ჩააბარებს — შვილიშვილს ტანსაცმელ-ფეხსაცმელს უყიდის. ოჯახსაც ათასი რამ სჭირდება!

მიჩენს, აღარ მომასვენებს, — თავს იმართლებს გუმარი პაპა.

გუმარი პაპა ღვინის ქარხნის ვაგონ-ცისტერნაზე მუშაობდა და ციმბირის გზებს აღმა-დაღმა სერავდა. აირია ქვეყანა. ციმბირიც მოგონებად შემოგვრჩა და ურალიც. და მოგზაურობის მოყვარული გუმარი პაპა შინ დაჯდა.

სწორედ იმხანად მშობლების გამო ქალაქი მივატოვე. ჯერ დედა გარდაიცვალა, ერთი წლის შემდეგ — ლოგინად ჩავარდნილი მამა. ის ერთი წელი ჩემი გამოცდის ვადაც იყო და მეზობლებისაც. რახან ბინა იქ დავიდე, ვინ აღარ მომაკითხა. ღმერთო ჩემო! რამდენი მეგობარი მყოლია, რამდენი გულიანი ადამიანი ყოფილა ამ პატარა სოფელში! ყველა გუმარი პაპას ორბიტაზე ტრიალებდა. ისინიც, მეტნაკლებად, გუმარი პაპას ხასიათისანი იყვნენ — უყვარდათ ერთმანეთი და მოლხენა.

მეც თანდათან შევედი იმათ მარაქაში. როგორც კი შებინდდებოდა, კარზე ვინმე მომიკაკუნებდა. რახან ავადმყოფი დაპურებული მყავდა, ჩუმად გამოვიძურწებოდი გარეთ და უკან შექიავებული ვბრუნდებოდი. სწორედ ამან გამაძლებინა, ამან გადამატანინა მწუხარებაც, მიტოვებული ოჯახის სევდაც, ავადმყოფის მომვლელის რანგში ჩამოქვეითებაც, სიბნელეც, სიცივეც და სხვა ათასი გაჭირვებაც.

აბეტი პაპას რატო ოცი კაცი მაინც არა შველოდა. იდგა ერთი ქრიამული, გადაძახილ-გადმოძახილი. დღე ისე გაილია, ლუკმა არავის გაუტემოიკლა, მოსავალს მთლიანად ვერ გადაარჩენ. აბეტი პაპაც ამაზე წუხს.

— შაბიამანი ორჯერაც რო დამესხა, ტონა-ტონანახევარ ყურძენს კიდევ გამოვრჩებოდი. შაბი შემომელია...

— ბევრი დაგჭირდა?

— ბევრი, უგუჯა პაპავ, ბევრი. თითო დასხმაზე 18 კილოგრამი!

ერთ კილოგრამში კი 2 ლარს ვაძლევდი... არა, მოსავალს არ ვემდური. სამ ტონამდე ხომ შინ მოვიტანე, ტონანახევარზე მეტი ნაღდ ანგარიშზე გავყიდე. ერთ ტონამდე ყურძენი, ნამუსის მოსაწმენდად, ღვინის ქარხანასაც ჩავაბარე.

— ფულს მალე მოგცემენ?

— რა ვიცი, როცა გვექნებაო. ხელშეკრულების მიხედვით შეიძლება ექვს თვესაც მალოდინონ.

ამ ზამთარს ოჯახს არ გაუჭირდება. ტონაზე მეტი ხორბალი აიღო. ორჰექტარნახევარზე სიმინდი და მზესუმზირა უთესია. ძროხა ჰყავს, ღორები, ფრინველი. მომავლისთვის თადარიგს აქედანვე იჭერს — დღესხვალ საყანე ნაკვეთი უნდა მოხნას, დაამზადოს და საგაზაფხულო ხორბალი დათესოს. ასე რომ, კარგა ხანს კიდევ ვერ მოისვენებს.

— გიასი რა ისმის — ვეკითხები ცოლ-შვილით მოსკოვში გადახვეწილ უფროს ვაჟზე.

— არა უშავთ, პურის ფულს მოუხლობენ, მაგრამ, აი, რთველზე ვერ ჩამოვიდნენ. ალიკამ — შვილიშვილზე ამბობს, — ამას წინათ წერილი რუსულად მომწერა. მებოდიშებოდა, ქართული მავიწყდებაო... —

დღესაც ქვეყნის საგკიდარ-საფიქრალით ცხოვრობს მუკუზანი. ნელნელა წელში სწორდება მრავალსმხილველი აქაური ადამიანი. ვინ, ვინ გაუძლო ბედის ამდენ ტრიალსა და უკუღმართობას, თუ არა აბეტისთანა გაუტეხელმა ადამიანებმა, იმავე გუმარი პაპამ, უზომ, თარიმანამ, ხიბამ, ვანომ, გაგნიმ, მიხომ, მიტომ, სხვებმა და სხვებმა, რომლებიც თავიანთი ხასიათით, გარჯითა და მარიფათით ალამაზებენ სოფელ-ქვეყანას.

მე აღარ გამკვირვებია, რომ თამადამ ტრადიციას გადაუხვია და პირველი ჭიქით მშვიდობის სადღეგრძელო შესვა.

— თუ მშვიდობა იქნება, ყველაფერს მოვევლება, — თქვა მან ძალზე მარტივად და გასაგებად...

* * *

... ისევ მე თვითონ დავკეტე სახლის კარი. მთვარეულივით ისევ აცა-ბაცა ნაბიჯებით გამოვიარე აბალახებული ბილიკი. ვგრძნობდი ჩინდაკარგული თვალებივით ჩალამებული ფანჯრებით როგორ მაცილებდა მამისეული სახლი.

„კიდევ როდის ჩამოვალ?“

— ნუ დარდობ, ეგუჯა პაპავ, აქ არა ვართ? — მეუბნება თამთა და შემომცინის...

ღმერთმა ნუ მომიშალოს თქვენი იმედი, ჩემო მეზობელ-მოკეთეებო!

**ელგუჯა ლებანიძე.**



ესპანეთის ქალაქ გრანადაში პოპულარულმა ბრიტანულმა პოპ-ჯგუფმა „სპაის გიორლზ“-მა გამართა პრეზენტაცია თავისი ახალი ალბომისა, რომლის პირველი ტირაჟი სულ რამდენიმე საათში გაიყიდა.

## ჩეჩნეთის მხარე მოლაპარაკების კმაყოფილია

ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა რუსეთისა და ჩეჩნეთის მხარეებს შორის სოჭში 10 ოქტომბერს გამართული მოლაპარაკების შედეგები დადებითად შეაფასა. სოჭში ჩეჩნეთის დელეგაციას ვიცე-პრემიერები მოვლადი უდუგოვი და ახმედ ზაკაევი ხელმძღვანელობდნენ, ხოლო ფედერალურ ცენტრს – უშიშროების საბჭოს მდივანი ივან რიბკინი და მისი მოადგილე ბორის ბერეზოვსკი წარმოადგენდნენ. როგორც ზაკაევმა აღნიშნა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკების შემდეგ რაუნდზე რუსეთ-ჩეჩნეთის სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების პროექტთან ერთად განიხილავენ „იურიდიულ ცნობას იჩქერიის ჩეჩენთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობისაკენ ეტაპობრივად გადასვლისა და ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ“. მისი თქმით, ამ ცნობაში აღრიცხული იქნება ყველა დოკუმენტი, რომელიც ჩეჩნეთის ხელისუფლებამ 1990 წლიდან მიიღო. რაც შეეხება ჩეჩნეთის ტერიტორიაზე რუსეთის წარმომადგენლობის ფუნქციების აღდგენას, ზაკაევმა აღნიშნა, რომ გროზნოში რუსეთის წარმომადგენლობის ამოქმედება მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, როცა რუსეთის მხარე შეასრულებს „საბაჟო სამსახურების“ შეთანხმების პირობებს, რომლის მიხედვითაც ჯოჰარგალას შეიხ მანსურის სახელობის აეროპორტმა საერთაშორისო სტატუსი უნდა მიიღოს. მხარეების შემდგომი შეხვედრა მომავალი კვირის დასასრულს უნდა გაიმართოს.

## კანონმდებელი ყოველთვის უკარნახებს თავის ნებას აღმასრულებელს

გერმანული „პასაუერ ტაგესანცაიერი“ აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება საფრანგეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. გაზეთი წერს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა ამ კვირას მოახდინა მასშტაბური გარდაქმნა და მნიშვნელოვნად გაამარტივა არჩევნებსა და რეფერენდუმებში მოქალაქეთა მონაწილეობის პროცედურა. გაზეთი აღნიშნავს, რომ ახალი კანონის თანახმად საფრანგეთის მოქალაქეებს მიენიჭათ უფლება, მონაწილეობა მიიღონ ყოველგვარ კენჭისყრაში არა 21 წლის ასაკიდან, როგორც ეს ადრე იყო, არამედ 18 წლიდან, როგორც ეს მთელ ცივილიზებულ სამყაროშია მიღებული. გარდა ამისა, მოქალაქეები თვითონ აღარ შეიტანენ თავიანთ გვარს ამომრჩეველთა უწყისში. ეს გაკეთდება ავტომატურად სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. გაზეთი, აგრეთვე, იუწყება, რომ ეს კანონი საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო მთავრობის აქტიური წინააღმდეგობის მიუხედავად. გაზეთის აზრით, კანონის მიღება დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ დემოკრატიული გარდაქმნები შესაძლებელია მაშინაც კი, როდესაც ქვეყანას არასტაბილური მთავრობა ჰყავს და გამუდმებით იზრდება სოციალური დაძაბულობა.

## აშშ: რიყავენ ტერორისტულ ორგანიზაციებს

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა იმ ოცდაათი დაჯგუფების სია, რომელთაც ამერიკელი ხელისუფალნი თვლიან ანტისაზოგადოებრივად და ტერორისტული საქმიანობის მიმდევრებად, იუწყება დპა — სააგენტო. ამ სიაში ორგანიზაციის შეტანა ნიშნავს, რომ მის წევრებს ჩამოერთმევათ შეერთებულ შტატებში ჩასვლის უფლება, ხოლო ამერიკელ მოქალაქეებს კატეგორიულად ეკრძალებათ გაუწიონ მათ ფინანსური ან რაიმე სხვა დახმარება. სააგენტო, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ ტერორისტულ ორგანიზაციათა რიცხვს ვაშინგტონის ადმინისტრაციამ მიაკუთვნა, კერძოდ, რადიკალური ისლამისტური ორგანიზაცია „ჰამასი“, ბასკების არალეგალური ორგანიზაცია ეტა, პროირანული დაჯგუფება „ჰეზბოლა“, ქურთ მუშათა პარტია და მრავალი სხვა. სააგენტო ხაზს უსვამს, რომ ერთადერთი ცნობილი გასამხედროებული დაჯგუფება, რომელიც არ შეუყვანიათ „შავ სიაში“, გახდა ირლანდიის რესპუბლიკური არმია „ირა“.

## აშშ: სიკვდილით დასჯა უნდა აიკრძალოს, მაგრამ არა – ყველასი

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წელს გადააჭარბა თავის საკუთარ რეკორდს აღსრულებული სიკვდილის განაჩენების სიმრავლით, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. 36 წლის მკვლელი რიკი ლი გრინი, რომელიც ამ კვირას დასაჯეს სიკვდილით ტეხასის შტატის ერთ-ერთ საპატიმროში, გახდა 58-ე მსჯავრდებული, რომელსაც წელს აღუსრულეს სიკვდილის განაჩენი. აქამდე არსებული სიკვდილით დასჯის რეკორდი დამყარდა ორმოცი წლის წინათ ორგანიზებული დამნაშავეობის თარეშისა და გაუთავებელი მაფიოზური გარჩევების ალკვეთის დროს.

აღმოსავლეთ კალიმანტანის ჯუნგლიდან გამოქცეულმა ამ ოთხი თვის ორანგუტანგების სიმპათიურმა წყვილმა შეძლო თავიდან აეცილებინა ათობით თვისტომის ტრაგიკული ხვედრი, რომლებიც ტყის ხანძრების მსხვერპლნი გახდნენ. ტყუპისცალებმა გამოაღწიეს ტროპიკული უსიერი ტყიდან და იპოვეს თავშესაფარი ბორნეოს კუნძულის სპეციალურ სარეაბილიტაციო ცენტრში.



## კანონი „კრაისლერსაც“ კი არ ზხათრებს...

ყველაზე დიდი ფულადი ჯარიმა, რომელიც ოდესმე დაკისრებია მწარმოებელ ფირმას, უნდა გადაიხადოს ამერიკულმა საფირმო კონცერნმა „კრაისლერმა“. გაზეთ „იუეს-ეი თუდეის“ ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ განაჩინა, რომ „კრაისლერმა“ 262 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს იმ უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპული ბავშვის მშობლებს, რომლის მიზეზი გახდა კონცერნის მიერ გამოშვებული მინივენის „დოჯ ქარავანის“ კონსტრუქციის ნაკლოვანებანი. სასამართლო სარჩელის გარჩევა დაიწყო იმ უბედური შემთხვევის გამო, როდესაც საოჯახო მოგზაურობის დროს ერთ-ერთ მოსახვევში უეცრად გაიღო ავტომობილის კარი, ბავშვი გადავარდა და მოჰყვა უკან მომავალი მანქანის თვლებქვეშ. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში დაადასტურა, რომ ეს უბედურება გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ ავტომობილის კონსტრუქციის ხარვეზებით. როგორც გაზეთი აღნიშნავს, აქამდე „კრაისლერის“ მიზეზით კიდევ 36 კაცი დაიღუპა.

## აშშ მეტეორიტი ჩამოვარდა

აშშ ტეხასის შტატის ქალაქ ელ-პასოს მახლობლად დედამიწაზე მეტეორიტი ჩამოვარდა.

კოსმოსური სტუმრის მოულოდნელმა ჩამოვარდნამ შეაშინა ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც პოლიციაში გახშირდა სატელეფონო ზარები. მოსახლეობის გარდა მეტეორიტის ვარდნა ექსპერტებმაც დააფიქსირეს. მათი ცნობით 10 ოქტომბერს ადგილობრივი დროით 0 საათსა და 45 წუთზე ცაში გამოჩნდა ნათელი კვალი, რომლის სიკაშკაშე მზის სხივის მსგავსი იყო. ასტრონომების აზრით, ასეთი კვალი მხოლოდ მეტეორიტს შეეძლო დაეტოვებინა. მეტეორიტს ამჟამად სამხედრო ეძებს შვეულმფრენებით, რომლებიც სითბური დანადგარებით არიან აღჭურვილი.

## რუსეთი მორიგ ამნისტიას აცხადებს

10 ოქტომბერს მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრმა ანატოლი კულიკოვმა განაცხადა, რომ სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ამნისტიის პროექტის მიხედვით საპატიმროებიდან გათავისუფლებული იქნება 30-35 ათასი ადამიანი. ამასთანავე, მინისტრმა აღნიშნა, რომ 60 ათას მსჯავრდებულს შეუმსუბუქდება სასჯელის ზომა, ხოლო 300 კაცს, რომლებიც გასამართლებულნი არიან პირობითად ან ადმინისტრაციული დანაშაულისათვის, სასჯელი საერთოდ მოეხსნებათ. კულიკოვის თქმით, რეციდივისტებსა და მძიმე დანაშაულისათვის გასამართლებულებს ამნისტია არ შეეხება.



„ბრემენელი მუსიკოსები“.



მაგრამ „სანტა-ბარბარა“ ბუნებრივი სიკვდილით კვდება.

## სერიალების საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს...

6 წელიწადია რუსეთის ტელევიზია მაყურებელს აცნობს კეპველთა ოჯახის ცხოვრების პერიპეტიებს. უკვე აჩვენეს 950-ზე მეტი სერია. წინ არის კიდევ 100. დღესდღეობით „სანტა-ბარბარა“ შესყიდულია 1043 სერიის ჩათვლით. მაგრამ ამ ფილმის რეიტინგი თანდათან ეცემა. არა მარტო მსახიობები, არამედ ტელემაყურებლები ტოვებენ დისტანციას – ყველა გაბეზრდა. სამაგიეროდ, სულ უფრო ძლიერდება ინტერესი სერიალისადმი – „ქალიშვილი – სახელად ბედი“. ამ ფილმის დარჩენილი 30 სერია მალამოდ დაედება გულაჩუყებულ ტელემაყურებელთა ნატანჯ სულს. მარია და ენრიკე 20 წლის განშორების შემდეგ ბოლოს და ბოლოს ჯვარს დაიწერენ. კატრიელი ცირკში დადგამს პიესას პრინცესასა და ინდიელის მიჯნურობის შესახებ. ვიქტორია ბოლოს და ბოლოს შეიტყობს, რომ მისი და ენრიკეს შვილი კატრიელია. მილაგრესი გადაწყვეტს, მისთხოვდეს ავგუსტოს, რადგან ძალიან ეცოდება, და მასთან ერთად წავიდეს ევროპაში. მაგრამ ყველაფერი კეთილად მთავრდება – კატრიელი და მილაგრესი უღლდებიან. ასეთ ფილმებს სხვაგვარი ფინალი არც შეიძლება ჰქონოდა.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების და საინფორმაციო ბიურო „მედიანას“ მასალების მიხედვით

უძღვება არჩილ მანჯგალაძე.

დამატება
ბავშვებისათვის №11
1997 წლის 12 ოქტომბერი

# დილა მშვიდობისა



## შოთა რუსთაველი
### აფორიზმები

მ.

მაგრა ბოლოდ ლხინსა მისცემს,
ვინცა პირველ ჭირსა გასძლებს;

მიჯნურობა საჭიროა,
მით სიკვდილსა მიგვაახლებს;

მაგრა თუ ჭირსა არ დასთმობ,
ლხინი რა დასათმობია!

მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს,
თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს?

მართლა თქმულა: „არა ჰმართებს
ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი“;

მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან
უფრო მტერია;

მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს,
ესე ბრძენთაგან თქმულია;

მაგრა თქმულა „კარგის მქმნელი კაცი
ბოლოდ არ წახდების“;

მაშინ ლხინი ამო არის,
რა გარდიხდის კაცი ჭირსა.

## ალექსანდრე დიდებაშვილი

# ჩვენ ვსწავლობთ ანბანს

**მ**

უყურეთ, უყურეთ მ-ანი ასო,
მამლის ბოლოს დაუმსგავსეთ.
და უთქვათ: კი არ
დაუმსგავსეთ,
მამლის ბოლოს მართლა
ჰგავსო.

* * *

მამალი მალ-მალ ყიოდა,
მზე მთაზე ამოდიოდა,
კრიალა დილა დგებოდა,
ცვარ-ნამი მზეზე ხსიოდა.

**ნ**

ნ-არი ჰგავს რასა?
ჰგავს ქიმურის რაზას.
გინდა მიგნით,
გინდა გარეთ,
რაზა კოჭავს
ნაყვარეთ.

* * *

მათი რიგი მიყოლებით ასე
არის:
ი-ნ, კ-ან, ლ-ას, მ-ან,
ნ-არი...



**პ**

ცაში ფრთებს რომ გაშლის
მერა,
დაბლა ქათამ-წიწილს
ზვერავს,
ირაოს რომ მეპყრავს
სსარცად,
იგი ფრთებით პ-არსა
სადავს.

* * *

პაპა პეტრე ეზოში ზის,
ჰოდა, მერამ ეს რომ იცის,
გაჯავრება არ სურს
მისი,
ესარიან ქათამ-წიწილს.

**ჟ**



პირდაღებული ჟირაფი,
ფოთლებისკენ რომ
ისწრაფვის,
ჟ-ანსა ჰგავს, არის
ჟ-ისებრი
მისი თავი და კისერი.

* * *

ჟუჟუნა წვიმა მოვიდა,
ისმის ნიცების
ჟივ-ჟავი,
ფეხთს წყლიან
მორიდან,
იციან ზრაჟა პირმავის.

**რ**

რ-ას წიქარას მებოლსა
ჰგავს,
რქამოცეხილი ხარისას,
დამამსხვრეველის,
დამშვენის
ცხრაკლიცელების
კარისა.

* * *

წიქარა, ჩვენო წიქარა,
ობლის ერთგულო ხარო,
გვეღეები და გვიყვარხარ,
შენი ხიფეთით ვხარობთ.

**ს**

სიმი აჟღერდა ქნარო!
გვინდა გზა გაუკვალოთ,
მშობლიურ ანბანს
ვსწავლობთ,
და სამშობლოთი ვხარობთ.

**ტ**

ხომ გახარებთ
ფოთლის წვერზე
დაკიდეული ცვარი,
მას ვადარებ,
მას ვამსგავსებ.
განა არ ჰგავს ტ-არი?

* * *

ალმის ტოტი,
ვარდის ყლორტი...
დრო,
დრო მოდის
ყვავილობის,
გზა მშვიდობის,
და მშვიდობის.

**ფ**

ფ-არი ჰგავს ფუტკარს,
ფუსფუსა ფუტკარს,
ყვავილს რომ წუწნის, –
გვიმზადებს ნექტარს.
თაფლი ხომ თაფლად,
სანთელი – სანთლად.
დიდება უფალს,
დიდება უფალს!



* * *

სამზეოს მივენის
ან-ბანი ჩვენი.

## ლიდა სტვილია



### ჰეიდა, შაშვო!..
### დიველი-დიველი...

ზურა ბიჭის გასაგონად
აჭახჭახდა შაშვი
დილით...
გაიღვიძა ზურა ბიჭმაც –
– ჰეიდა, შაშვო!..
დიველი-დიველი!
თუ არ იფრენ, ვინ რას
მოგცემს,
ვინ რას მომცემს, თუ არ
ვიველი?
შენ, იფრინე, იჭახჭახე,
დიველი-დიველი! არც მე
ვტირი!
უკეთესად ვიმღერებდი,
ბავშვობა რომ მქონდეს
ტკბილი.
თუ რომ მქონდეს ჩემი
ფუძე,
ჭერი, კერა თბილზე
თბილი.
რომ არ მქონდეს ოსეთი და
აფხაზეთი მოკვეთილი...

### ხაჭაპური

ბებო მიცხობს
ხაჭაპურს,
კვერცხის გულით
გაპრანჭულს,
სამ-ოთხ-ხუთ სართულიანს,
ხან მეგრულს და ხან
რაჭულს...

განა ისეთ ფენოვანს
ჯიხურში რომ ჰყიდიან?
ბებოს ხაჭაპურები
მთვარესავით დიდია!

ჭრის ბებიკო ხაჭაპურს,
სულს უბერავს ეს ქარიც...
გაიწელა ყველი შიგ, –
ხაჭაპურიც ეგ არის!

ბებო მიცხობს ხაჭაპურს,
კვერცხის გულით
გაპრანჭულს,
ჭყინტი ყველით გატენილს,
ხან მეგრულს და ხან
რაჭულს,
სამ-ოთხ-ხუთ სართულიანს
კეცის ქართულ ხაჭაპურს.



### ასე
### გაგვიმასპინძლდა

ლიდა ენამოქარგული,
ლიდა მარდი კვანჭალა, –
მოგვიტანა ჯამით თხილი
დაჭორფლილი, კაჭარა.
ჩემი დაკრეფილიაო, –
დაგვირჩია, გვაჭამა.
თაფლა ლეღვიც
მოგვაწოდა,
მზეზე გამხმარ-დამჭკნარი
ფელამუშიც მოაყოლა,
მხიარული მაჭარიც.

* * *

დედა ჩიტებს ზეიმზე
საჩუქრები გადასცეს...
ზოგი ბეჭედს იწონებს,
ზოგი – წითელ საყარცხელს...

შეილებიან ჩიტებს ხედათ
ამბარჩაც და ღუმბარჩაც...
ახი, არის გუგულზე
უსაჩუქროდ თუ დარჩა!

## გიორგი წერეთელი

### სახლის მარაო

შინ რომ სიცხე არ
დადგეს
ამისათვის კმარაო,
ჭერზე დაკიდებული
ჩავრთოთ სახლის მარაო.

### ოფლიანი სურა

ჩემმა ლიდამ,
ცივციველა
წყლით აავსო მინის
სურა...
— ოფლს ასხამსო, —
გაიძახის, —
გარედან რომ
მინისლულა.



### წყალი რად არ იქცევა?

პაწაწინა მედეა
გვთხოვს პასუხის
მიცემას:
— დედამიწა თუ ბრუნავს
წყალი რად არ იქცევა?!

### მოცეკვავე ქუდი

სამფეხი ქვაბის სკამია,
ცეცხლზე როცა ზის
მაშინ,
თავსახურავი ქუდია,
და თუ რამე დუღს
ქვაბში,
ქვაბის ქუდს ისე
აცეკვებს,
სულაც არ უნდა ტაში.

### დედამიწის სადავე

რაც ზამთარმა გაჰყინა —
გაზაფხული ალღობს...
იბადება სიცოცხლე,
ბერიკაციც ბალღობს.

ყველაფერი მრავლდება,
ყველაფერი ბარტყობს,—
გაზაფხულის დადგომას
თვალი ამით ატყობს...

კვირტი, გარეთ გამოსვლას
გაზაფხულზე ბედავს, —
ისე გაიფურჩქნება
ვეღარა სცნობს დედა.

დიდი სითბოს პატრონი
მზე ყველაფერს
ხედავს,
დედამიწის სადავე
ცისარტყელა ხელთ
აქვს!

# მელაკუდა

ლექსი ცირა ქიტიაშვილის






ბავშვობაში რაც ისწავლე
ვერ იყენებ დიდობაში,
წიწილებზე ნადირობა
ჩამეთვალა ქურდობაში.

## ბეჟან სვანიძე

### მარინე

— აბა მოდი, ხელ-პირს დაგბან,
ჩემო გოგო ცქრიალა! —
უხმო ბებომ მარინეს და
უთხრა ალერსიანად.
— არ დავიბან ხელს და პირსო, —
მარინემ იღრიალა.
მაშინ ბებომ წყნარად უთხრა,
მტირალს, თვალებცრემლიანს.
— აგერ ხელ-პირს ფისოც იბანს,
შენ კი არა გრცხვენია?!
— კარგი აბა, მეც დავიბან, —
სლუკუნით თქვა მარინემ...
ოღონდ პირი ფისოსავით
უწყლოდ დამაბანინე!



### მზე

მიტომ არის დღენიადაგ
ცაში გამოკიდებული,
ყველაფერზე ლამაზია,
ყველაფერზე დიდებული.
ძალიან რომ მოინდომო,
ძებნო, მოვლო კიდით კიდე,
მის უკეთეს რას იპოვნი,
მის ადგილზე რას დაკიდებ?

## ნაჩუქარი კალათა



ბადრი ყოველ ზაფხულს ჩადის სტუმრად თედო პაპასთან, ჩავა თუ არა, სოფლის ბიჭები მასთან გაჩნდებიან დიდი თუთის ჩრდილქვეშ...

წელს ბავშვებმა მეთაურებად ბადრი და გია აირჩიეს, შემდეგ დასხდნენ და დაგეგმეს:

ხვალ გუჯარაულზე ანკესებით მივდივართ...

ზეგ თედო პაპას ტყეში მივყვებით, ნაძვები უნდა დავთვალოთ, ტყის მცველს უნდა დავეხმაროთო...

მერე ნანა გვეპატიჟება, ფუტკრის ოჯახები უნდა გაჩვენოთო.

— ნატო ბებიას მსხალი რომ დამწიფდა. — წამოსცდა პირისწკლაპუნით ვილაცას.

ბადრიმ ნატო ბებოს მსხლები ინატრა.

კენჭი ჰყარეს.

ოთარს ხვდა წილად, დაეკრიფა და უბით ბიჭებთან მოეტანა.

ირგვლივ მხოლოდ ჭრიჭინობელას გაბმული ჭრიჭინი ისმოდა.

მეორე დღეს სათევზაოდ რომ მობრუნდნენ, ახლა ბადრის ერგო ნატო ბებოს მსხლების დაკრეფა.

ასე იყო ყოველდღე...

ერთ დღეს თბილისიდან ბადრის მამა ჩამოვიდა და ბადრიც თან უნდა წაეყვანოთო.

ბავშვები თუთის ხესთან შეგროვდნენ. ბადრი ბიჭებს დაჰპირდა, სვანურ კოშკებს ჩავიხატავ და გამოგიგზავნითო.

— თედო-ო! — ლობეს ნატო ბებია მოადგა.

ბავშვები გაყუჩდნენ.

— ბადრი მამამისს ხვანეთში მიჰყავსო, მითხრეს; იქ ხილი ხომ გვიან შემოდის, და აი, ამ პატარა კალათით მსხალი მინდა გავატანო... — შემოდგა ლობეს ნატო ბებომ მსხლით სავსე პატარა კალათა.

ბიჭები შეიშმუშნენ.

ბადრი დაიბნა, თვალი ვერ გაუსწორა მოხუცს.

— მიდი, მიდი, გამოართვი, — უთხრა პაპამ.

ბადრის კალათა ემძიმა, თითქოს მხარმოწყვეტილმა მიიტანა მანქანასთან...

ბავშვებს თავი ჩაეღუნათ... ნატო ბებო კი პირზე ღიმმომდგარი იდგა და გზას ულოცავდა ბადრის...

ნათელა ფაილოძე.

# მოგვნატრებია ივრის ფშანები

სახალხო პოეტ აკადემიკოს გიორგი ლეონიძის თაოსნობით სოფელ პატარძეულში გამოიყვანეს წყარო, რომელიც სათავეს იღებს სართიჭალაში ივრის ნაქურიდან. მადლიერმა პატარძეულელებმა მას ლეონიძის წყარო შეარქვეს.

სულ რამდენიმე წელია, რაც აქ დამკვიდრდა — სოფელ პატარძეულში. ახალი დროის შვილია, ერთ ადგილას ვერ ისვენებს. მუჩიაანთ უბანში აქვს მთავარი ბინა — შარაგზის პირას, მისი ბარტყები კი სოფლის ყველა უბანს მოსდებიან. ერთი მათგანი გულიაანთ უბანშიც სწორედ იმ ადგილასაა, სადაც პოეტის დედას უყვარდა საღამოობით მეზობელ ქალებთან ერთად ფშატის ხის ქვეშ ჯდომა და დასვენება.

ის დროც ახსოვთ პატარძეულელებს, როცა ერთი ლიტრი წყლისათვის საათობით იდგნენ, წვეთობით მოწანწკარე გულიაანთ წყაროსთან. ეს კარგად იცოდა მგოსანმა.

— განა ცოდო არ არის, — თქვა მან, — სოფელს გადარეული იორი ასე ახლოს ჩაუდიოდეს, აზვავებულს, ადიდებულს, ივრის ჭალების დოვლათი ქარივით მიჰქონდეს თან, პატარძეულებებს კი წყალი უჭირდეთ, წყალი აკლდეთ! თქვა და შეასრულა კიდეც. ზღაპრული მზეჭაბუკივით მოსტაცა იორს ნაქური და ხალხს მოუტანა.

— დე, გაიხაროს ხალხმა, აივსოს ცივი წყაროებით პატარძეული, შეუწყვეტლივ იდინოს წყალმა მუჩიაანთ, ჩიხლაანთ, გულიაანთ უბანში, შიოს უბანში...

ისე, კაცმა რომ თქვას, ხანდახან, როცა ზაფხულის თაკარა მზე დაგაჭერს, ხშირად მოგნატრებია ივრის ფშანები, შენ ნებაზე ხეტიალი წნორის ჩრდილებში, მაგრამ გაგახსენდება შენი მგოსანი და შენივე თავის შეგრცხვება. მზის სხივებზე ალმასივით გაბრწყინდები და აცელქებულ მხეფებს ეთამაშები. მგოსანს უყვარდა თავისი მშობელი ხალხი, სამშობლოს მთების სიმაღლე, მწვერვალები, არწივის ქროლვა მზისკენ, გასაუბრება მტკვართან, არაგვთან, განსაკუთრებით ივრისკენ მოუხაროდა, აქ ეგულებოდა ბავშვობის ზმანება, „ჩალურჯებული ფშანები“, „მწვანე წნორები თმაგამოწნული“, „ცისფერ ჩქერებში ორაგულები“ და „ბრდღვიალა კალმახები“ — შენი ნაქური წვეთი ვარო, — ესე მიმართავდა იორს სახალხო პოეტი. და მართლაც, ის წყარო იყო ქართული ლექსის თავანკარა წყარო.

რედაქტორი შოთა ხოდაშნელი,
მხატვარი სიმონ ჭიორელი.

საქართველოს რესპუბლიკა
№254. კვირა. 12 ოქტომბერი. 1997 წელი.

წიგნი

# კიტა ბუაჩიძის „შავზე შავი წიგნი“

## ესაა ჩვენი ცხოვრება...

**„დიდებულ დრამატურგს საამაყოდ ისიც ეყოფა, რომ მის „შავ წიგნს“ უბით დაატარებდა ქართველი ხალხის თითქმის ყველა თაობა (ასეთი დროც იყო)...“ წერილს ხელს აწერს 18 გამოჩენილი თანამედროვე ქართველი მწერალი.**

„ლ.ს.“ 21-28 მარტი, 1997წ.

კიტა ბუაჩიძის შემოქმედებითი ცხოვრების ბოლო ათწლეულებში „მეორე პერიოდი“ დაიწყო; სახელგანთქმული კომედიების ავტორმა გამოამჟღავნა პოლიტიკურად მახვილი და დაუზოგავი სტილი, რომელშიც ლაღ იუმორთან შერწყმულია მჩხვლეტავი ირონია და ცინიზმი, რაც, შეიძლება ითქვას, „ახალ პერიოდს“ წარმოადგენს ჩვენი დროის გაბედული მწერლის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. ეს ნიშან-თვისება ქარაგმულად იყო გამოკვეთილი ჯერ კიდევ მის კომედიებში, მაგრამ ეპოქის უხეშმა ბუნებამ, რომელიც ძალდატანებასა და აშკარა რეპრესიებში გამოიხატებოდა, კიდევ უფრო გაამძაფრა ავტორის მხატვრული საღებავები.

კიტა ბუაჩიძის „შავზე შავი წიგნი“ მოცულობით დიდი რომ არ იყოს (512 გვერდი) „უბის წიგნს“ ვუწოდებდი იმ გაგებით, რომ ყველა ქართველმა ხშირად ჩაიხედოს მასში, მთელი სიმძაფრით განიცადოს, სერიოზულად ჩაფიქრდეს და საკუთარი თავის, მისი ოჯახის, მიწა-წყლისა და ერის გადარჩენაზე იფიქროს...

კიტა ბუაჩიძე მკითხველი საზოგადოებისათვის კარგად იყო ცნობილი როგორც კომედიოგრაფი და პუბლიცისტი, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყოფილი სსრ კავშირის ფარგლებში. მწერალს სახელი კიდევ უფრო გაუთქვა მისმა ფრიად პოპულარულმა, რუსულ ენაზე დაწერილმა წიგნმა: „გრძელი, ძალიან გრძელი უსტარი ვიქტორ ასტაფიევს და სხვა ეპისტოლენი შავთეთრი სურათებითურთ“, რომელიც 1989 წელს გამოქვეყნდა.

ამასთან, აღსანიშნავია ავტორის გაბედული სტატიები მწვავე პოლიტიკურ და საყოფაცხოვრებო თემებზე, რომელთა არეალი არა მხოლოდ ქართული სინამდვილით იფარგლება, არამედ მთელი საბჭოური ყოფით – მისი წარსულითა და აწმყოთი, მეტიც, სწვდება რუსეთის წინასაბჭოურ ხანას, კერძოდ, იმ პერიოდს, როდესაც რუსეთის სახელმწიფომ მცირე ერების დაპყრობითი პოლიტიკის მექანიზმი შეიმუშავა...

კიტა ბუაჩიძის, როგორც მწერლის, ძირითადი იარაღი დაცინვაა, მისი ყველა ფორმა: იუმორით დაწყებული, სატირითა და გროტესკით დამთავრებული, სწორედ მის კომედიებსა და კრიტიკულ წერილებში მეტნაკლებად ყველგან შეზავებულია დაცინვის ფორმები, დაბოლოს თავისი დამოკიდებულება გარემოსადმი გამოამჟღავნა პუბლიცისტიკაში. მას არ შეუძლია დუმილი, არ ძალუძს გვერდი აუაროს დანაშაულს, თვალი დახუჭოს სინამდვილეზე და სათქმელი შეინახოს: იგი ორგანულად ვერ იტანს ტყუილს, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი – საქართველოს მთავრობის უმაღლესი მოხელისაგან თუ მისი „მეგობარი“ ექიმისაგან, რომელიც ნამდვილად ავადმყოფ მწერალს საავადმყოფოში არ დააწვენს... ავტორმა ჯერ კიდევ 60-იანი წლების განთიადზე ორიგინალური ჟანრის ნაწარმოები მიუძღვნა ჩვენი ხალხის სინამდვილეს „შავი წიგნის“ სახით, რომელიც დიდი მამხილებელი მხატვრული ძალის ქმნილებაა და შიშს გვგვრიდა მაშინდელ მკითხველებს (ძნელი წარმოსადგენი არ არის იმ დროს თვით ავტორის მდგომარეობა, მეტადრე თუ გავითვალისწინებთ, რომ თვით მწერალი ადრე რეპრესირებული იყო, ხოლო მისი უფროსი ძმა, ცნობილი ლიტერატურისმცოდნე ბენიტო და ბიძები – დახვრეტილი).

„შავი წიგნი“ , რომელიც ასახავს გადაგვარებული საბჭოთა ეპოქის რღვევას, ერთგვარი სინთეზია მემუარულ-პუბლიცისტურსატირული ფორმებისა, რომლებსაც უფრო ფართოდ მიმართა ავტორმა „შავზე შავ წიგნში, ანუ როცა ბედი წყდება საქართველოსი“ (1996).

მკითხველთა ერთი ნაწილის აზრით, პირველი წიგნი (მეორესთან შედარებით) უფრო პოპულარული და ინტერესის აღმძვრელი იყო, რაც აიხსნება მოულოდნელობით და ავტორის აშკარა კონფრონტაციით მთავრობასთან (ეს ხომ ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილების მძლავრობის პერიოდია და მკითხველი არ მოელოდა საბჭოური სინამდვილის ასეთ მძაფრ კრიტიკას!). აქ ისიც მინდა დავსძინო, რომ „შავზე შავ წიგნში“ დროის ზეგავლენით ზოგიერთი პასაჟი შერბილებულია, რაც მთავარია, ბევრი რამ პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა და თავისთავად მოიხსნა, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად ზემოდან მოხსნილია ის შეზღუდვები, რომლებიც კრძალავდა მოქალაქეთა თავისუფლებას, პოლიტიკურ მისწრაფებებს და თავისუფალ ქმედებებს.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა „შავზე შავი წიგნის“ ნეიტრალურ ხასიათზე. ოფიციალურად აღიარებული უფლებები ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ რეალიზაციას, ისიც ისეთ სახელმწიფოში, რომელიც ჯერ კიდევ შიშის ქვეშ ჰყავთ გარეშე ძალებს, ხოლო შინაგანი ორგანოები, გარდა იმისა, რომ ვერ ფლობენ შექმნილ გართულებულ სიტუაციებს, ზოგჯერ თავის მხრივაც ამჟღავნებენ არაადამიანურ ჩვევებს...

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს თანამედროვე საზოგადოებაში პრაქტიკულად დაბალია ეროვნული შეგნება, ხალხის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, დიდი ნაწილი არასერიოზულად უყურებს ერის დღევანდელ მდგომარეობასა და მის მომავალს, აშკარაა ის დიდი როლი, რომელსაც სარეცენზიო წიგნი შეასრულებს (ოღონდ უნდა წავიკითხოთ და საკუთარ თავში ჩავღრმავდეთ!).

მწერალი გრძნობს, რომ ჯერ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, ხოლო შემდეგ, განსაკუთრებით, მეოცე ასწლეულიდან, ერის გათიშვა მოხერხდა და ჩვენი საუკუნის დასასრულს ქართველი ერის არსებობის საკითხი უპირველესი პრობლემა გახდა.

„შავზე შავი წიგნიც“ მდიდარია ხსენებული მოტივებით, მაგრამ ყველა ერთად ძალდაუტანებლად თავს იყრის ეროვნულ პრობლემატიკაში. ამ თვალსაზრისით იგი შეიძლება გვერდით ამოვუყენოთ სასიქადულო ეროვნულ მოღვაწეთა იმ ქმნილებებს, რომელთა სათქმელი და ფიქრიც სამშობლოს ეხება. აქ განსხვავება მხოლოდ ჟანრული ხასიათისაა, რომელიც კიტა ბუაჩიძეს საშუალებას აძლევს დაინახოს ქართველი კაცის ბუნებაში სუსტი რგოლები, ხელი ჩასჭიდოს მათ და დაეხმაროს გაცნობიერებაში; ამ მიზნით ავტორი მიმართავს პარალელებს სხვა ქვეყნებთან (ამ მხრივ მას დიდ დახმარებას უწევს ფართო განსწავლულობა, ქართველი ხალხის ტრადიციებისა და შეძენილი ჩვევების შედარებები სხვადასხვა ერების შვილებთან, მათ ყოფასთან, ისტორიასთან, ხალხთა გამრავლების პრობლემასთან).

ერთი შეხედვით, ამ დროს იგი „მწერალი მეცნიერია“, რომელიც მხატვრული სიტყვის მაგიერ მიმართავს მათემატიკურ ნიშნებს: ციფრებს, პროცენტებს, გვისახელებს წლებს და აანალიზებს „მათემატიკური აპარატით“, მსჯელობს სტატისტიკოსის ენით, რითაც უფრო თვალსაჩინოდ გვისურათებს სათქმელს და გვაახლოებს დასახულ მიზანთან. განა საგანგაშო არ არის, „მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში უშვილო ქორწინება ყველა ქორწინების 10 პროცენტზე მეტი არ არის, ხოლო საქართველოში კი მათი რიცხვი 16-17 პროცენტია. ამით აღშფოთებული მწერალი ესაყვედურება ერთშვილიან დედებს...

ავტორი ვერ შერიგებია, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ერი, რომელიც ამაყად უნდა შევიდეს XXI საუკუნეში, დღევანდელი მდგომარეობით გადაშენების გზაზეა და ეს ხომ კატასტროფაა!.. მისი სიტყვით, დღეს **„ბედი წყდება საქართველოსი...“**

სხვათა შორის, ამ გამომაფხიზლებელი დასკვნით მწერალი ეხმაურება და ჯერ კიდევ უპასუხოდ ტოვებს იმ დიდ კითხვის ნიშანს, რომელიც ჩვენს საუკუნეს არჩილ ჯორჯაძემ დაუსვა: „XX საუკუნის მსვლელობაში საბოლოოდ გამოირკვევა, იცოცხლებს თუ არა ქართველი ხალხი და გამოვა თუ არა ქართველი ინტელიგენცია „ერის უფლების“ და დემოკრატიის გაერთიანების მცველდარაჯად“ – წერდა ა. ჯორჯაძე. კიტა ბუაჩიძემ კი, როგორც მიგვითითეთ, საუკუნის მიწურულსაც ვერ გასცა პასუხი ამ კითხვას, რომელიც საუკუნის დასაწყისში დააყენა დიდმა ეროვნულმა მოღვაწემ. სამაგიეროდ, გვაფრთხილებს, რომ ახლა წყდება ბედი საქართველოსიო და საგანგაშო ზარს სცემს...

კიტა ბუაჩიძე განსხვავდება იმ „მოღვაწე ტიპისაგან“ , რომელიც სხვებს ჭკუას ასწავლის, თვითონ კი არხეინად ცხოვრობს. მისი სიტყვა და საქმე ერთია. მთავარი პირადი მაგალითია:

„ჩვენი მხსნელი, ჩვენი მშველელი, ჩვენი გადამრჩენი ქვეყნისა და ერის ამომგდები წამხედურობის ამომშანთავი ისევ და ისევ მხოლოდ პირადი მაგალითია.

**„პირადი მაგალითია. პირადი მაგალითი!!!“** – ვკითხულობთ „შავზე შავ წიგნში“.

ასეთია ავტორის სიტყვები, მოწოდება და საქმეც. ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის ხომ ცნობილია კიტა ბუაჩიძის გმირობა, დიახ, გმირობა, რომელმაც, როცა შეიდნახევარი წელიწადი, როგორც პოლიტიკურმა პატიმარმა, ციმბირში დაჰყო და იქიდან გათავისუფლებულმა უძილო ღამეების ხარჯზე დაწერილი პიესების ჰონორარიდან დანაზოგი ოცდაათიოდე მრავალშვილიან ოჯახს გაუნაწილა...

ამ ფაქტის ანალოგი (მისი მდგომარეობის კაცისთვის) სამწუხაროდ, არ გვაქვს, მეტადრე თუ გავითვალისწინებთ მის ხელმოკლეობას. მისთვის ეს თავგანწირვაა, მისივე სიცოცხლის ხელყოფაა და ამდენად, გმირობაც.

საზოგადოდ, წიგნი მდიდარი და მრავალმხრივია. ძნელია მონახო საკითხი, რომელიც გათვალისწინებული არ ჰქონდეს ავტორს, იგი ყველანაირ სატკივარზე წერს, წიგნის ზოგიერთი თავი დამოუკიდებელი ნაწარმოებების შთაბეჭდილებას ტოვებს, მოთხრობისა თუ ნოველის, კერძოდ, ავტორისა და მისი ოჯახის (განსაკუთრებით უფროსი ძმის, ცნობილი ნიჭიერი ლიტერატურისმცოდნის ბენიტო ბუაჩიძის) შესახებ.

მწერალი აღშფოთებულია იმით, რომ ჩვენი ხალხის ერთი ნაწილისათვის „სამშობლოდ“ ჯერ მთელი იმპერია იქცა, ხოლო დამოუკიდებლობის შემდეგ – მთელი მსოფლიო. ამ ვითარებაში კი ერის ძალა განახევრდა.

გასული საუკუნის ქართველი სამოციანელების ყიჟინამ სიცოცხლის იმედი ჩაუსახა ეროვნულ ძალებს და, ოქტომბრის ქარტეხილის მიუხედავად, აქამდე მოვაღწიეთ, მაგრამ დღეს???

დღეს, მკითხველო, როცა ჩვენი სახელმწიფო ფეხზე წამოდგა და ყოველი ჩვენგანი დიდი წინაპრების მსგავსად თავს უნდა ვწირავდეთ მისთვის, რას ვაკეთებთ?

მე მხედველობაში არ მყავს ის ახალგაზრდები, რომლებიც განათლების მისაღებად ან სამოღვაწეოდ გასულან დროებით საზღვარგარეთ, მაგრამ სადა აქვთ ეროვნული თავმოყვარეობა იმ ათეულ ათასებს, რომლებიც „გემრიელი“ ლუკმა-პურისათვის საკუთარ სამშობლოს ტოვებენ და „ხელზე მოსამსახურედ“ გადიან საზღვარგარეთ. რას ფიქრობენ ეს მიგრანტები? (მაპატიონ ამ ლათინური ტერმინის გამოყენებისათვის) – იგი ბიოლოგიური მნიშვნელობითაც იხმარება და მიუთითებს ცხოველებზე, რომლებისთვისაც უმთავრესია უკეთესი „საძოვრები“ და არა სამშობლო...

ნუთუ ქართველი კაციც ამ მიზნით უნდა გამოეთიშოს იმ ერთ-ერთ უძველეს მშობლიურ ერს, ერს, რომელიც ათასწლეულების ქარტეხილებშია გამოვლილი და იმედით შეჰყურებს XXI საუკუნეს?

ნუთუ მოხვეჭილი კაპიტალი – რა დიდი ოდენობისაც არ უნდა იყოს, მეტი ბედნიერებაა, ვიდრე მამა-პაპეულ მიწაზე, შენს სალხთან, შენს მემკვიდრეებთან ცხოვრება???

და ბოლოს რა ღირებულება ექნება ცნება „საქართველოს“, თუ ქართველები არ იცხოვრებენ მის ტერიტორიაზე???

სწორედ ამ მიზეზით არის შეშფოთებული მწერალი, რომლის ფიქრიც თავს დასტრიალებს ქართველ ერს, მის მიწა-წყალს, რომელიც შაგრენის ტყავივით იკუმშება და თვით ჩვენი ხალხის რაოდენობის პრობლემას, რაც თანამედროვე ეტაპზე დღითიდღე უარესდება (მნიშვნელობა არა აქვს ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით), მძიმე ეკონომიკური პირობებითაა გამოწვეული, თუ სხვა რამით.

ასევე აკრიტიკებს ჩვენი ეროვნული ტრადიციებისათვის ესოდენ უცხო საქციელს – უზრდელობას...

„აღშფოთებულო მკითხველო, ვგრძნობ და მესმის, ახლა რა ღრმად ამოიოხრეთ და თქვით, ო, როგორც გამგელდა ხალხი, როგორ გადაგვარდა, ახალგაზრდობამ რა პირწმინდად დაკარგა ზრდილობა, თავაზიანობა, სულ მცირედი მსხვერპლის გაღების სურვილიც კი“...

მართლაც, რამდენჯერ ვხვდებით ჩვენს ყოველდღიურობაში მსგავს მაგალითს?! (ჩანს მშობლებმა, სკოლამ და ყველა დაწესებულებამ „ზრდილობის“ სათანადო საუბრები უნდა შემოიღონ!).

და რა დიდი კონტრასტია, როცა ამ ფონზე გამობრწყინდება უკვდავი იოსებ ჟორდანიას თავგანწირვა ვიღაც გადამთიელი გოგონას სიცოცხლის გადასარჩენად!..

მწერალს უხვად მოაქვს დადებითი მაგალითებიც ჩვენი ცხოვრებიდან, მაგრამ ვაი, რომ უარყოფითი სჭარბობს. სამწუხაროდ, ეს ჩვენი სინამდვილეა და ავტორიც შეგნებულად ამახვილებს მათზე მკითხველის ყურადღებას, დროდადრო იმეორებს ანალოგიურ ფაქტებს, საზოგადოებრივი ხასიათის ანომალიებს, რომ საფუძვლიანად დააფიქსიროს ჩვენი დღევანდელი ყოფა, რათა მეტი ზეგავლენა მოახდინოს მკითხველზე, მაგრამ გამეორებები უარყოფით გავლენას ახდენს ნაწარმოების კომპოზიციაზე, მკითხველს ღლის და ზედმეტად ტვირთავს. წიგნი უდავოდ მოიგებს თუ ავტორი შემდეგი გამოცემისას ან თარგმნისას „გაწმენდს“ მას ზედმეტი დეტალებისაგან.

კიტა ბუაჩიძის „შავი წიგნები“, რომლებიც თითქმის ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე იწერებოდა, კრიტიკული მხატვრული ლიტერატურის ორიგინალური ჟანრი და თანამედროვე ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი შენაძენია.

**დავით თევზაძე.**

ზნეობა

შალვა მარდი

# XX საუკუნის უბედურება

## ფსევდორელიგიური სექტა და სექსუალური მანიაკები

### „შავი მაგები" – რუსეთის მთავრობის მრჩევლები?

რუსეთში ხმა დაირხა, უშიშროების ფედერალური სამსახურის გენერალი გიორგი როგოზინი გამოცდილი ექსტრასენსია და ყოველდღიურად უდგენს ჰოროსკოპებს სახელმწიფოს ხელმძღვანელებსო. ამასთან, იგი „ეთათბირება" უზენაეს კოსმოსურ ძალებს და აწყობს კლინიკურ სეანსებს. თან, თითქოს, მისი რჩევით დაიწყეს იოსებ სტალინის თანდათანობითი რეაბილიტაცია და ახლა აპირებენ კვლავ დააბრუნონ კვარცხლბეკზეო. ამ გენერლის მოშურნენი ამტკიცებენ, რომ მას აქვს უნარი დააჰიპნოზოს გარშემომყოფნი, ხოლო პრეზიდენტის სამდივნოს წევრის ლუდმილა პიკოვას სახით გაჩნდა ადამიანი, რომელიც მოითხოვს მის გაძევებას კრემლიდან. პრეზიდენტ ელცინის სამდივნოს ხელმძღვანელმაც კი აღიარა, რომ გენერალ როგოზინთან ერთად ყოფნისას თავს „სუფქვეშ დაჭერილი ბუზივით" გრძნობს.

თურმე, გენერალი როგოზინი ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას გატაცებული ყოფილა ოკულტიზმით და 1989-91 წლებში ხელმძღვანელობდა სუკ-ში მოქმედ გასაიდუმლოებულ სპეციალურ ინსტიტუტს, რომელიც სწავლობდა და წყვეტდა სახელმწიფოსა და მისი ლიდერების უშიშროების ფსიქოლოგიურ პრობლემებს.

პარანორმალური მოვლენების და ადამიანის ფსიქიკასა და ყოფა-ქცევაზე ზემოქმედების ალტერნატიული მეთოდების შესწავლა დიდი ხანია გენერალ როგოზინს გატაცებიდან პროფესიულ საქმიანობად გადაექცა. ამტკიცებენ, რომ მან შეიმუშავა და პრაქტიკულად იყენებს მორ მანძილზე სხვათა აზრის წაკითხვის, ქვეცნობიერებისადმი ტელეპათიური კონტროლის, აგრეთვე ტვინიდან გაგზავნილი იმპულსების სკანირების გზით ინფორმაციის შეგროვების მეთოდიკას. ერთი იმათგანი, ვინც კარგად იცნობს გენერალს წარსულში ერთობლივი მუშაობით, ამტკიცებს, რომ როგოზინი ოკულტიზმის ნამდვილი ფანატიკოსია, რომ მას აქვს მთელი საჭირო მოწყობილობა თავისი შავი მაგიის პროგრამის განსახორციელებლად.

### რუსეთში მოქმედებს 400-მდე სექტანტური რელიგიური ორგანიზაცია

რელიგიური პოლიტიკის საკითხები რუსეთში პრინციპულად სულ სხვაგვარ ხასიათს ატარებს, ვიდრე დასავლეთში. საზოგადოებრივი შენობების, კონფერენც-დარბაზების, კინოთეატრების, სკოლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, სპორტდარბაზების უმრავლესობა მეტწილად სახელმწიფოს ეკუთვნის. არადა, უმრავლეს შემთხვევაში სწორედ იქ იმყოფებიან ტოტალიტარული სექტების საორგანიზაციო და სამქადაგებლო ცენტრები.

შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ ამ სექტების საქმიანობას მხარს უჭერს სახელმწიფო. ამჟამად მოქმედი სინდისის თავისუფლების კანონის შესწორების მიღების ცდებს წარმატება არ მოჰყოლია. გადაწყვეტილი ჰქონდათ, რელიგიურ-მისიონერული, საგამომცემლო და სარეკლამო-პროპაგანდისტული საქმიანობა აეკრძალათ საზღვარგარეთის რელიგიური ორგანიზაციებისა და რუსეთის მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, მაგრამ პრეზიდენტზე პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლა მოახდინეს და მესწორებებს ვეტო დაადეს.

შექმნილ სიტუაციაში წყალწაღებულნი იძულებული არიან „ხელი გაანძრიონ, რათა ეშველოთ". აი, რა წერილით მიმართეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ვ. სადოვნიჩის საერთაშორისო ქრისტიანული სემინარის – „რუსეთის ტოტალიტარული სექტების" მონაწილეებმა.

„პატივცემულო ბატონო რექტორო!

ამერიკის უმაღლესი სასწავლებლების არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მოქმედება ოფიციალურად აეკრძალა მხოლოდ ერთ რელიგიურ ორგანიზაციას – ეგრეთ წოდებულ ბოსტონის მოძრაობას, რომელიც ამჟამად უფრო მეტად არის ცნობილი „ქრისტეს ეკლესიის" სახელით. ამ ორგანიზაციის საქმიანობა აკრძალულია, აგრეთვე, დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში...

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ქრისტეს ეკლესიას" აქვს შენობა თავისი კრებების მოსაწყობად; განსაკუთრებით აქტიურად და წარმატებით მოქმედებდა იგი საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ფაკულტეტებზე.

მეორე ტოტალიტარული სექტა, რომელიც ოფიციალურად მონაწილეობს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებაში – ეს არის „საიენტოლოგიის ეკლესია" ანუ „ჰაბარდის ეკლესია". თავისი ბიბლიოთეკა და პროპაგანდისტული ცენტრი მან უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე გადმოიტანა.

და, ბოლოს, თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ მუნიანების (არა ავადმყოფების, არამედ მუნის მიმდევრების – მთარგმ.) სექტის – „გაერთიანების ეკლესიის" საქმიანობის ანტიქრისტიანულ და ანტიჰუმანურ ხასიათს. სექტათმცოდნეობის ლიტერატურაში – როგორც რუსეთში, ისე დასავლეთში – მოყვანილია უამრავი შემთხვევა, როდესაც ეს სექტა ტრაგიკულად ჩარეულა ახალგაზრდობის ცხოვრებაში, დაწვრილებით არის აღწერილი ცნობიერების დამუშავების მართლსაწინააღმდეგო და ანტიჰუმანური მეთოდიკები. სამწუხაროდ, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში აშკარად იგრძნობა მუნიანთა აქტიური ყოფნისა და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის ნიშნები.

ყოველივე ამის გამო ჩვენ იძულებული ვართ, შეგახსენოთ: მშობლებმა, რომლებმაც თავიანთი შვილები სასწავლებლად გამოგზავნეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თქვენს სასწავლებელს მოანდეს მათი ბედ-ბედი. დღეს უნივერსიტეტი არათუ ვერ იცავს მათ, არამედ ურიგდება მათი სიცოცხლისა და ბედისათვის ერთობ რისკიან ექსპერიმენტებსაც".

ილებენ კია ყურად სახელმწიფო მოღვაწენი ამ სასოწარკვეთილ ღაღადებას?

„ქრისტეს ეკლესია მოსკოვში", ისევე როგორც ამგვარი სექტები, ჩამოყალიბდა დამრიგებლობის სიტყვების საფუძველზე. „დამრიგებლის" ყოველი სიტყვა გარდაუვალი კანონია „მოწაფისათვის". დეტალურად არის დამუშავებული ყველა იმ პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლის სისტემა, ვინც სექტის მისიონერული საქმიანობის ორბიტაში ხვდება.

ხალხს ქუჩაში, მაღაზიაში, სამუშაოზე, ინსტიტუტში შეუწნდებიან ხოლმე თხოვნით, მისცენ თავიანთი ბინის ტელეფონი. თუ კაცი უნებისყოფოა და უჭირს უარის თქმა, ეს სწორედ ის არის, ვისაც სექტანტები დაეძებდნენ.

სექტაში სუფევს მკაცრი, თითქმის სამხედრო დისციპლინა. ყოველგვარი კრიტიკული გრძნობა, ყოველგვარი აზროვნების უნარი აქ სასტიკად იხშობა. თქვენ ყოველდღიურად აბარებთ ანგარიშს „დამრიგებელს" იმის შესახებ, თუ რა შეგემთხვათ და რა გააკეთეთ. იმისათვის, რომ სატრფოს შეხვდეთ, საჭიროა „დამრიგებლის" განსაკუთრებული ნებართვა, მაგრამ ქორწინებაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ საცოლესაც შეიყვანთ სექტაში.

დამოუკიდებელ აზროვნებას უარყოფს „საინტეოლოგიის ეკლესიაც". დარღვევები მკაცრად ისჯება. „საიენტოლოგებს" აქვთ თავიანთი შინაური პოლიცია და თავიანთი სასამართლო.

ტოტალიტარულ სექტებს შეუძლიათ შექმნან კავშირები მათი მისამართით ყოველგვარი კრიტიკის გასაქარწყლებლად. ასეთი ცდების ჩასახშობად ისინი უყოყმანოდ აწყობენ მრავალრიცხოვან სასამართლო პროცესებს თავიანთი ოპონენტების წინააღმდეგ, რისთვისაც იყენებენ სულიერ ტერორს. ამის შედეგად მათი მუქარით დაშინებული სახელმწიფო მოხელეები და პუბლიცისტები ფარ-ხმალს ყრიან და აღმოფხვრიან ყველა დაბრკოლებას (მათ შორის კანონის მიხედვით აუცილებელსაც) სექტების საქმიანობის გზაზე.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო სამსახურის აკადემიის რელიგიათმცოდნეობის კათედრის გამგე ნიკოლოზ ტროფიმჩუკი ამტკიცებს: „დასავლელმა მისიონერებმა რუსეთში იპოვეს ფართო სარბიელი გაფურჩქვნისა და აყვავებისათვის. ამას ნათლად მოწმობს მათი მიმდევრების სიმრავლე. „მისიების" კომერციულ საქმიანობას არავინ არ უწევს კონტროლს. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს 400-მდე რელიგიური ორგანიზაცია.

რუსეთში ჩამოსულმა ყველა საზღვარგარეთელმა ქადაგმა უნდა მიიღოს სახელმწიფო აკრედიტაცია მისიონერული საქმიანობის მიმდევრობის უფლებისათვის. ეს შეზღუდავს მათს კომერციულ ინტერესებს – უძრავი ქონების შესყიდვას, ლიტერატურის გამოშვებას, ტელევიზიასა და რადიოში საეთერო დროის შეძენას".

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ანტონიანი ამბობს: „მეღვთისმშობლე" მამები, რომლებიც რუსეთში სულიერი ბატონობის პრეტენზიას აცხადებენ – სექსუალური უკულმართები არიან. მათ აქვთ ბინძური, ცინიკური, თვით ველურისათვის ულირსი წარმოდგენები სქესთა ურთიერთობაზე. მათი მსჯელობა სექსუალურ თემებზე აშკარად მოწმობს, რომ ამ ადამიანებს ესაჭიროებათ სერიოზული სექსოპათოლოგიური დახმარება, ხოლო, ზოგჯერ შესაძლოა, დაპატიმრება და მათი შრომების დაყადაღებაც..."


ილებენ კია ყურად სახელმწიფო მოღვაწენი ამ სასოწარკვეთილ ღაღადებას?

### სექტის ტყვეობაში

სექტიდან გამოსვლა ბევრს უნდა, მაგრამ, ვაი რომ, ასეთი შემთხვევები ათასში ერთია. ეს იმით აიხსნება, რომ როდესაც ფსევდორელიგიური სექტის აბლაბუდაში მოხვდება კაცი, მეტადრე თუ იგი ახალგაზრდაა და არ გააჩნია საკმარისი ცხოვრებისეული გამოცდილება, სულ მალე ჰკარგავს სოციალურ ორიენტაციას და მთლიანად ემორჩილება „გურუს" სექტის ხელმძღვანელის ან სულიერი ლიდერის გავლენას. ეს გავლენა იმდენად ძლიერია, რომ მშობლებს, თუკი შეძლებენ შეხვდნენ „ახალ რჯულზე" მოქცეულ შვილებს, გადაგვარებული პირმშოები უბრალოდ ვერც კი ცნობენ.

მშობლები ცდილობენ, გაარკვიონ, რა მოუვიდათ მათ შვილებს, სულ ცოტა ხნის წინ დამჯერე ბავშვები, სანიმუშო მოსწავლეები, სტუდენტები თუ ახალგაზრდა სპეციალისტები რომ იყვნენ. ასეთ ცდებზე რეაქცია ყოველთვის ერთგვაროვანია. „ახალ რჯულზე მოქცეული" სექტანტი მშობლებს უშვერი სიტყვებით ლანძლავს.

რაღა დარჩენია თავზარდაცემულ დედ-მამას? გულმოწყალება შესთხოვონ სექტის სულიერ ლიდერს, რომლის ლექსიკონშიც ასეთი სიტყვები არც არსებობს; ვის მიმართონ – პოლიციას, სასამართლოს? მაგრამ დემოკრატიულ ქვეყნებში, როგორც ცნობილია, ადამიანის ერთ-ერთი განუყოფელი უფლებაა სინდისის თავისუფლება. და, მაშასადამე, ნებისმიერი რელიგიის აღმსარებლობის შესაძლებლობა. სულ მალე ირკვევა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დეტალი: თურმე, **არ არსებობს არც ერთი გაზეთი, არც ერთი რადიოსადგური და არც ერთი ტელეარხი, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით არ არიან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებებით სხვადასხვა სექტებთან და სექტანტური ყაიდის რელიგიურ დაჯგუფებებთან.** „ფული არ ყარს!" – ამ სამყაროსავით ძველთაძველ პრინციპს დღენიადაგ იყენებენ და გვიჩვენებენ მდიდარი ამერიკაც, შეძლებული შვეიცარიაც და მრავალი სხვა ქვეყანაც, რომლებიც ამაყად რიცხავენ თავს მსოფლიო დემოკრატიისა და ცივილიზაციის ბანაკის ბურჯებად.

რა ქნან უბედურმა მშობლებმა, მათ სხვა გზა არ დარჩენიათ: უნდა შეეცადონ, გამოისყიდონ თავიანთი უბედური პირმშო. უაღრესად საიდუმლოდ ეწყობა შეხვედრა სექტის მეთაურებთან, რომლებიც ცეცხლის ფასს ადებენ „პირგასამტეხლოს". მაგრამ ესეც არაფერს არ ნიშნავს; მშობლები იხდიან გამოსასყიდს და იბრუნებენ შვილს, მაგრამ, ვაი რომ, ეს უკვე სულ სხვა პიროვნებაა, გაველურებული, გაუცხოებული და ჭკუას გადამდგარი...

თუმცა, ბოლო დროს ისეთი სექტების ხელმძღვანელებმა, როგორიც არის „პარე კრიშნა", მუნის „გაერთიანებული ეკლესია" და „უფლის შვილები", გადაწყვიტეს ერთგვარი შეღავათი გაუწიონ მშობლებს და დროდადრო გარკვეულ დღეებსა და საათებში შეახვედრონ თავიანთ შემცდარ შვილებს.

ასეთი შეხვედრები, აუცილებლად ეწყობა სექტის კუთვნილ შენობაში (როგორც წესი, თვით სექტანტები ასეთ შენობებს „სასახლეებს" უწოდებენ), თანაც ამ „პაემანებს" ამთხვევენ ხმაურიან სექტანტურ დღესასწაულობებს, როდესაც დაირებით, სალამურებითა და საყვირებით შეიარაღებული სექტის წევრები საშინელ ღრიანცელს ტეხენ და ყურთასმენისწამღები ხმაურით არავის არ აძლევენ საშუალებას, რაიმე თქვან ან გაიგონონ.

რა თქმა უნდა, ასეთ მშობლებს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ, რათა თვითონაც არ წამოეგონ „ადამიანის სულზე მონადირეთა" ანკესზე, და არამც და არამც არ მიიღონ მონაწილეობა, თუნდაც რაიმე ფორმით, იმ სექტის დაფინანსებაში, რომელშიც მათი შვილები მოხვდნენ.

სხვათა შორის, სექტის წევრები არასდროს არ იზღვევენ თავს, და თუკი რომელიმე მათგანი დაშავდება ან ავად გახდება, სექტის ხელმძღვანელობას აზრადაც კი არ მოუვა, გადაუხადონ მათ რაიმე გასამრჯელო. უფრო მეტიც, იგი ცდილობს ბავშვის მშობლებს დასცინცლოს რაც შეიძლება მეტი, ხოლო სექტის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში მოითხოვს აუნაზღაუროს ხარჯები, რომლებიც სექტამ გაიღო, სანამ ცხონებულს „განკურნავდა" და ერთადერთ სწორ სარწმუნოებას აზიარებდა. სწორედ ამიტომ, სექტების ხელმძღვანელები ყოველი რიგითი სექტანტისაგან ილებენ ხელწერილს, რომ მისი სიკვდილის შემთხვევაში მემკვიდრეობა, რომელიც კანონით მშობლებს უნდა დაბრუნებოდა, გადაეცეს სექტას.

განსაკუთრებით შემაძრწუნებელია იმათი ბედი, ვინც პატარაობისას მოხვდა ფსიქოტერორისტ-სექტანტთა კლანჭებში, ანდა, უბრალოდ გაუჩნდა სექტანტ მშობლებს. როგორც წესი, მათი ხვედრია სექტის მოზრდილი წევრების (ჩვეულებრივ – ხელმძღვანელების) მხრივ სექსუალური შეჩენა და გაუპატიურება, ვინაიდან მათს უმრავლესობას აშკარად ახასიათებს სექსუალური, ძირითადად, სადისტური გადახრები.

1978 წელს ჯონსთაუნში (დაიანა) სექტანტებმა უმოწყალოდ ამოხოცეს 300 პატარა ბავშვი.

როდესაც უშიშროების ძალებმა იერიში მიიტანეს კორეშის სექტის შტაბბინაზე, ეს არამზადა მშობლების თვალწინ კოცონში ჰყრიდა მათ შვილებს, და, საბოლოოდ, ვერც ერთის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

„უფლის შვილთა" სექტის დამაარსებელი დავით ვეგლი თავის „ნაშრომში" ამტკიცებს, რომ ბავშვს სექსუალური აქტიურობა ლამის დაბადებიდანვე უნდა განვუვითაროთ.

რა უნდა მოსთხოვო ხალხს, ვისაც აქვს ასეთი მორალი, ასეთი ზნეობა, ვისაც ასეთი ღმერთი ჰყავს...

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ.**

(გაგრძელება ყოველი კვირის ნომერში).

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ" № 155, 161, 178, 185, 192, 199, 207, 213, 223, 230, 237, 248.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პირველი საერთაშორისო

# კონკურსს სახელს გაუთქვამს ობიექტურობა



**პიანისტთა თბილისის პირველი საერთაშორისო კონკურსის საერთაშორისო ჟიურის ერთ-ერთი წევრია ცნობილი ქართველი პიანისტი, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი ელისო ვირსალაძე.**

— ***თქვენ უკვე რამდენიმე წელიწადია თბილისში აღარ ყოფილხართ. იგრძენით რაიმე განსხვავება ქალაქის იერ-სახეში, ხალხის განწყობაში?***

– ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან მიჭირს, ქალაქის დათვალიერება პრაქტიკულად ჯერ ვერც კი მოვახერხე, რადგან ჩემი მარშრუტია დიდი დარბაზი და ჩემი ბინა, მაგრამ თუკი ვიმსჯელებთ იმ განწყობით, რომელიც დარბაზში სუფევს, მსმენელის რაოდენობით და იმ გამომეტყველებით, რომელიც მათ სახეებზეა აღბეჭდილი, შემიძლია ვთქვა, რომ უამრავი სასიკეთო ძვრა მომხდარა.

— ***რა იყო მნიშვნელოვანი ამ ბოლო პერიოდის მანძილზე თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაში?***

– პრინციპულად ყოველი წელი ერთიმეორის მსგავსია, რადგან ყოველთვის ვმართავ კონცერტებს მრავალ ქვეყანაში და ვეწევი პედაგოგიურ მოღვაწეობას, ახლა, მოსკოვის კონსერვატორიის გარდა, უკვე მესამე წელია ვმოღვაწეობ მიუნჰენის უმაღლეს სამუსიკო სკოლაშიც. ბოლო დროს გამართული კონცერტებიდან გამოვარჩევდი ერთ-ერთს. მოგეხსენებათ, სვიატოსლავ რიხტერი საფრანგეთში, პარიზთან ახლოს, აწყობდა ხოლმე ფესტივალს. სწორედ ამ ფესტივალის ერთ-ერთ კონცერტზე მეც ვუკრავდი – პირველ განყოფილებაში ჩაიკოვსკის დიდ სონატას, მეორეში კი, ჩემს მეგობრებთან ვიქტორ ტრეტიაკოვთან და ნატალია გუტმანთან ერთად შოსტაკოვიჩის ტრიოს. რიხტერის გარდაცვალებაზე დიდად ვინერვიულე, ვინაიდან, ბოლო დროს, მასთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაკავშირებდა.

— ***მოგწონთ განახლებული დიდი დარბაზი?***

– რასაკვირველია. დარბაზი ბრწყინვალედ გამოიყურება. მე მინდა ყველას მივულოცო ამ ძირძველი მუსიკალური ტაძრის აღდგენა, და უღრმესი მადლობა მოვახსენო ქალბატონ მანანა დოიჯაშვილს და მის ყველა თანამოაზრეს ასეთი დიდი საჩუქრისათვის.

— ***რა მნიშვნელობას ანიჭებთ პიანისტთა თბილისის პირველი საერთაშორისო კონკურსის დაფუძნებას?***

– ვფიქრობ, ასეთი დონის კონკურსის დაარსება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა საქართველოს რეალობისათვის. თუმცა, მე პიროვნულად კონკურსების მოწინააღმდეგე ვარ, მაგრამ, სამწუხაროდ, კონკურსების სხვა ალტერნატივა ჯერ არ არსებობს, ვიმედოვნებ, რომ ეს კონკურსი არ იქნება რიგითი, ჩვეულებრივი კონკურსი, რასაც უპირველესად ხელი უნდა შეუწყოს ჟიურის ობიექტურობამ და სახელსაც გაუთქვამს ჩვენს კონკურსს.

— ***რატომ ხართ კონკურსების მოწინააღმდეგე?***

– ამას ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს. არიან მშვენიერი მუსიკოსები, რომელთაც არ შეუძლიათ კონკურსზე დაკვრა, სამაგიეროდ მართავენ ბრწყინვალე კონცერტებს და, პირიქით, არიან მუსიკოსები, რომლებიც კარგად ავლენენ შესაძლებლობებს კონკურსზე და ვერ უკრავენ კონცერტებზე. ჩემი აზრით, მუსიკოსის მთავარი ღირსებაა, რომ შეეძლოს კონცერტებზე გამოსვლა და აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარება, რომ ხალხს, მსმენელს, ესმოდეს, რისი თქმა უნდა სოლისტს.

კონკურსის დანიშნულებაა გამოავლინოს სწორედ ასეთი მუსიკოსები, რაც ხშირ შემთხვევაში ჭირს. მაგალითად, 1966 წელს ერთ-ერთი კონკურსის ჟიურის თავმჯდომარის ემილ გილელსის დაჟინებული მოთხოვნით პირველი ადგილი მიენიჭა პიანისტს გრიგორი სოკოლოვს. ჟიური აღშფოთებული იყო, მაგრამ დღეს სოკოლოვი მსოფლიო დონის მუსიკოსია. ასეც ხდება ხოლმე.

— ***ხართ თუ არა კმაყოფილი კონკურსანტების მომზადების ხარისხით?***

– სიმართლე გითხრათ, არც მოველოდი რომ ასეთი მაღალი დონის მუსიკოსები დამხვდებოდნენ. სამწუხაროა, რომ ზოგიერთ შემსრულებელში ვხედავ დიდ ბუნებრივ ნიჭს, მაგრამ მათ აკლიათ პროფესიონალიზმი და პედაგოგიური ხელი. ზოგჯერ, თუ ამას დროულად არ მიექცა სათანადო ყურადღება, სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს, ეს ნაკლი ველარ ანაზღაურდება, რასაც შემდგომ დრო ადასტურებს ხოლმე.

— ***ხომ არ მოიყვანდით ზემოთქმულის დასტურად იმის მაგალითს, რომ გამორჩეულად ნიჭიერმა მუსიკოსმა დროზე ადრე შეწყვიტა შემოქმედებითი არსებობა?***

– მსოფლიოში ცნობილი ვენ კლაიბერნი. მან 1958 წელს ჩაიკოვსკის სახელობის პირველ კონკურსზე ტრიუმფულად გაიმარჯვა. მასზე ლაპარაკობდა ყველა... მაგრამ ეს იყო მისი პირველი და უკანასკნელი წარმატება! დღეს ხომ ეს შემსრულებელი არ არსებობს?! ჩემთვის, პირადად ეს ტრაგედიაა, ეს უდიდესი დანაკარგია.

მე ვფიქრობ, შექმნილი იმიჯის შენარჩუნება ურთულესი საქმეა.

— ***როგორც ჟიურის ერთ-ერთი წევრი, ხომ არ გვეტყოდით, კონკურსანტების შეფასებისას ძირითადად რა კრიტერიუმით იხელმძღვანელებს ჟიური?***

– მე სხვების ნაცვლად ვერაფერს ვიტყვი, პირადად კი შეფასებისას გავითვალისწინებ შემდეგ ფაქტორებს – კონკურსანტს უკვე დღეს უნდა ჰქონდეს საკუთარი ხელწერა, იყოს საინტერესო შემსრულებელი, რომელსაც ძალუძს მსმენელთან კონტაქტის დამყარება და მისთვის საკუთარი აზრის და განცდის გადაცემა, რა თქმა უნდა, სამომავლო პოტენციის გათვალისწინებით.

— ***თქვენს მიერ დაარსებული შესანიშნავი ფორუმი — საერთაშორისო ფესტივალი — სემინარი „ქება ვაზისა“, რომელიც ტრადიციად იყო ქცეული, დროის სიდუხჭირის გამო რამდენიმე წელია აღარ გამართულა. ახლა ყოფა შეიცვალა. ხომ არ აპირებთ „ქება ვაზისას“ აღდგენას?***

– მე მაქვს იმედი, რომ „ქება ვაზისა“ აღდგება, მაგრამ პერსპექტივაში როდის იქნება ეს შესაძლებელი, ჯერ არ ვიცი. დღეს უკვე აღარ შეიძლება ფესტივალის მაშინდელ ჩარჩოებში აღდგენა, დღეს ის უკვე სხვა სიმაღლეზე უნდა იყოს, წმინდა ორგანიზაციული საკითხების პოზიციიდან, რასაც საკმაოდ სოლიდური თანხები ესაჭიროება. მე კი ნამდვილად არ შემიძლია თანხების მოთხოვნა იმ გასაგები მიზეზების გამო, რომ დღეს ძალიან უჭირს კონსერვატორიას, ცენტრალურ მუსიკალურ სკოლას, უჭირს ინსტრუმენტები, პროფესორ-მასწავლებლებს უჭირთ ფინანსურად. ამიტომ, თუკი არსებობს რაიმე სახსრები, უპირველესად ეს პრობლემები უნდა გადაიჭრას, იმისათვის, რომ მათი შრომა არ იყოს მხოლოდ ენთუზიაზმისათვის, მხოლოდ იდეისთვის.

როდესაც ეს პრობლემები მოგვარდება, მერე მეც შევეცდები მოვუწყო მათ დიდი ზეიმი „ქება ვაზისას“ სახით.

— ***რამდენიმე სიტყვა თქვენი შემოქმედებითი გეგმების შესახებ?***

– ისევ პედაგოგიური მოღვაწეობა და კონცერტები. ამ საკონცერტო სეზონისათვის დაგეგმილია კონცერტები ევროპის და ამერიკის ქვეყნებში, იაპონიაში, აფრიკაში, რუსეთის ქალაქებში. დიდი სურვილი მაქვს, რომ თბილისში ჩამოვიყვანო საკონცერტოდ ჩემი რამდენიმე წარჩინებული სტუდენტი.

ესაუბრა
**ზურაბ ოიკაშვილი.**

კინოჩვენება

# ბრიგადირსაც არ უნდოდა, მაგრამ...

— **ყაზბეგმა დიდი პატივი დაგვდო,** – გვიამბო გოგი ბერიკაშვილმა, რომელიც ფილმში მონაწილე სხვა მსახიობების მსგავსად პირველად შეხვდა გოდერძი ჩოხელს, როგორც რეჟისორს ფილმში „სამოთხის გვრიტები“, – **დენი რომ გამოგვერთო, ერთი „მანტიორი“ მოვიდა ჩვენს საშველად. აძვრა მაღალი ძაბვის ბოძზე და იქიდან გადმოგვძახა, „კავკასიონზე“ უნდა შეგაერთოთ, ბიჭებოო.**

ის „მანტიორი“, რომ სცოდნოდა, გოდერძი ჩოხელის „გრან-პრის“ მფლობელი ფილმის ჩვენებისას კინოს სახლს გამოეთაყვანა თვალსა, იქნება ფეხით ჩამოსულიყო ყაზბეგიდან და მაყურებელს საათზე მეტს აღარ მოუწევდა ბნელ დარბაზში ლოდინი.

საქმეს გულით უნდა კეთება – ფაქტია! აკი კახი კავსაძემაც ახლა დაასრულა შთამბეჭდავი თხრობა ანაპის ფესტივალის დეტალებზე, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთი სასიამოვნო სანახობა იყო და ერთი მსახიობის თეატრს ჰგავდა: **„დიდი არაფერი. ნუ მოელით რაღაც საოცრებას და ფანტასტიკურს. ერთი კინო გადავიღეთ გულით, ესაა და ეს!“**

— **მადლობელი ვარ, რომ ჩემი ფილმის სანახავად მოხვედით და ამდენ ხანს იცადეთ. დღეს კიდევ ერთხელ აღმოვაჩინე, რომ „ცუდად არ ჩაივლის, ეს განწირული სულისკვეთება“. ანაპაში ყველამ თავისებურად აღიქვა ფილმი, მაგრამ მე ის, უპირველეს ყოვლისა, ქართველებისათვის გადავიღე. მინდოდა თქვენთვის ერთი განსხვავებული, ბედნიერი საათი მეჩუქებინა, როცა აღარ იფიქრებდით, რომ ძალიან ბევრი რამ გვიჭირს. გუდამაყრის დიდთოვლიანი ზამთრის შემდეგ ფერდობები რომ ჩამოშრებოდა, სასაფლაოზე ავდიოდი, პაპაჩემის საფლავზე ამოსულ იებს ვეფერებოდი და ზამთარგამოვლილს მახარებდა გაზაფხულთან შეხვედრა. მინდა, რომ ჩემმა ფილმმა მძიმე ზამთრის შემდეგ მშობლიური მიწიდან ამოხეთქილი იების ბუჩქის განწყობა დაგიტოვოთ...**

მახვილით, ბუნებრივია, – ეს გოდერძი ჩოხელია... გოდერძი ჩოხელი!

სცენა „ერთი მსახიობის თეატრიდან“.

კახი კავსაძე, რომელიც, გოდერძი ჩოხელის თქმით, უპოპულარესი კაცი იყო ანაპის საერთაშორისო კინოფესტივალზე და ამის გამო ასორმოცდაათი ჟურნალისტი დასდევდა;

კახი კავსაძე, რომელმაც გარდა იმისა, რომ მთავარი როლი ითამაშა „სამოთხის გვრიტებში“, სინქრონულად თარგმნა კიდეც ეს ფილმი.

ეს თარგმანი კიდევ ცალკე თემაა!

– **ფილმი 12 სექტემბერს ღამის 9 საათზე დავასრულეთ და ათზე ანაპაში გავფრინდით,** – გვიამბობს ბატონი კახი, – **ფირი ბუნებრივია, რუსული თარგმანის გარეშე წავიღეთ — სხვანაირად ველარ ვასწრებდით. როცა ფილმის წარდგენის დრო მოვიდა და კონფერანსიეს ბუტბუტში ჩემს გვარს მოვკარი ყური, მივხვდი სიტყვას მოგვცემდნენ. სხვა ვერაფერი გავიგონე. ავედი სცენაზე და ხმამაღლა გამოთქმითა და ჟესტიკულაციით მივმართე დარბაზს. მაყურებელმა, როგორც იქნა, რაღაცა გაიგო და შვებით ამოისუნთქა. წარვადგინე რეჟისორი და ფილმის დირექტორი, ახლებურად — პროდიუსერი ანდრეი ლონგვინოვი. რუსული გვარის გაგონებაზე დარბაზი კიდევ უფრო გამოცოცხლდა... ბოლოს ანდრეის მივეცი სიტყვა, შეიშმუშნა, არ აპირებდა გამოსვლას. ვეუბნები, მიდი ბიჭო, მიმართე ხალხს რუსულად. თქვენ „ბოლშესტვო“ ხართ, ჩვენ „მენშესტვო“, „თქვენი ჯიში...“ და ა.შ.**

**გაბედა ლონგვინოვმაც და ორიოდე სიტყვა თქვა, ბუნებრივია, შესანიშნავი რუსულით.**

**— პა, რას იტყვი, ხო კარგად ვთქვი, — გადმომილაპარაკა ბოლოს.**

**— ეს კაცი მეკითხება, რუსულად ხომ არაფერი შემშლიაო, — განვუმარტე დარბაზს.**

**მოკლედ, თავიდანვე შტურმით დავიწყეთ. ფესტივალი 13 დღეს გაგრძელდა, ჩვენი ფილმი მეორე დღესვე აჩვენეს. მაყურებელი მოითხოვდა გამეორებას, მაგრამ ეს აკრძალული იყო. თუმცა, მაყურებლის რეაქციით პროგნოზირება ძნელია, მაგრამ ჟიურის თავმჯდომარე, რუსი კლასიკოსი დანილ გრანინი, რომ მოვიდა გოდერძისთან და მოწიწებით სთხოვა, თუ დრო გექნებათ „პააბშაემსია, ესლი მოჟნა“-ო, გული მომეცა, და ვიფიქრე, მაინც მწერალი კაცია, სხვა თუ არაფერი, 5 ნომინაციიდან (ქალის საუკეთესო როლი, მამაკაცის საუკეთესო როლი, სცენარი, რეჟისურა და „გრან-პრი“) ერთს მაინც მოგვცემენ-მეთქი — სცენარისას.**

**ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ გოდერძისთან რუსულად „პააბშატსია“ როგორ მოგწონთ?** (დარბაზში ყველაზე გულიანად ამ ხუმრობაზე გოდერძი იცინის).

**იცით რა? „პააბშალის და ეშო კაკ“?**

**— „ადნაკა მნე ხატელას-ბი“-ო, — გოდერძი ამბობს!** (დარბაზი ლაწუა).

მოკლედ, მოვიდა ბოლო დღე. ძალიან გაჯგიმულები...

**გოდერძი: — ყველა და ყველაფერი მივატოვე და ზღვისპირას წაველი სასეირნოდ. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ომში ვიყავი და დამარცხებულს ჩამოსვლა არ მინდოდა... შვილებმაც ტელეფონით — რას შვრები, მოგაქვს პრიზიო?**

**რა ვუთხრა იმ ხალხს, — ვფიქრობდი, — ლამის გული გამისკდა!**

**დადგა ფინალური მომენტი. ფოიერვერკი, ბათქა-ბუთქი... რეჟისორების უმეტესობა წინა რიგებში თავდაჯერებული ზის. მზად არიან, რომ მათი გვარების გამოცხადებისას სცენაზე ასვლაში დრო არ დაკარგონ. მე უზარმაზარი დარბაზის შუაგულში მიმჭუჭყნეს... მაშინ კი ვიფიქრე, ვაი, შენს გოდერძის, ალბათ, არაფერსაც არ მომცემენ, თორემ აქ ხომ არ დამსვამდნენ-მეთქი.**

**კახი კავსაძე: — მთელი 13 დღე გვაფრთხილებდნენ რუსები, ნუ ინერვიულებთ, იმედი ნურაფრის გექნებათ, ჩვენ პრიზებს არარუსებზე ასე ადვილად არ ვარიგებთო. რას გვატყობთ ნერვიულობისას-მეთქი, მეც იხტიბარს არ ვიტეხდი. ფინალში კი ვზივარ დარბაზში და ვფიქრობ: ხომ არის რაღაც ერთი, ნახევარი, მეასედი პროცენტი შანსი, რომ გამოგვაცხადონ?** (ამ დროს უცნობია მხოლოდ „გრან-პრის“ მფლობელი – ე. ჯ.) – **რას ვიზამ, როგორ შევაფასებ?...**

**„არაფერსაც არ ვიზამ, — ვეუბნები საკუთარ თავს, — ავდგები და აი ასე, მშვიდად, ლაღად, ვითომც არაფერი, ავალ სცენაზე“.**

**„გრან-პრი“ მიენიჭა გოდერძი ჩოხელის ფილმს „სამოთხის გვრიტები“ — აცხადებენ ფრიად საზეიმოდ და ხმამაღლა.**

**— არის!!! — მთელი ხმით ვიყვირე...** (წარმოიდგინეთ კახი კავსაძე – ე. ჯ.).

პრიზის გადაცემის დეტალებს ბატონი კახი ისეთი სიზუსტით და პლასტიკით გვიამბობს, რომ უკვე აღარც ვბრაზობ იმაზე, რა გაჭირდა ერთი ვიდეოკამერა და ოპერატორი წვენთვის, რომ ეს ყველაფერი გადაეღოთ-მეთქი. რა უშავს, აქ გადაიღოთ კახი კავსაძე.

და ბოლოს, ისევ ბატონი კახი:

— **რუსები საკუთარ თავს „გადაახტნენ“ და ისე მოეწონათ თავიანთი „ნახტომი“, რომ ბოლოს ყველაზე გულიანად ისინი გვილოცავდნენ.**

და მაინც, რაზეა და როგორია ფილმი? ისევ კახი კავსაძისა არ იყოს, ნუ მოელით რაღაც განსაკუთრებულს, ანუ იმას, რასაც დღეს კინოს სამყაროში საოცრებას ეძახიან.

სცენარი მარტივია და ყველასათვის გასაგები. მთის ამ პატარა სოფელში, სადაც კომუნიზმი უშენებიათ, მერე თავი მიუნებებიათ და იმ ყოფის ნიშნად მარტო ინერციის ანაბარა დარჩენილი ფერმაღა დარჩენილა ცხვრის მცირერიცხოვანი ფარით, კოლმეურნეობის თავმჯდომარე შფოთავს, რომ გეგმა არ სრულდება და ბრიგადირსაც სულს უმწარებს. ბრიგადირს, ბუნებრივია, წყრომა ხალხზე გადააქვს, მით უფრო, რომ ხალხს მუშაობისათვის აღარ სცალია, რადგან წერა-კითხვას სწავლობს. გაკრეჭილი მღვდელია მათი მასწავლებელი. თვალსაჩინოება კი, რის მიხედვითაც მოხუცებს ასოების მეცნობა უადვილდებათ, შრომის იარაღებია... არბევს და არბევს ბრიგადირი გაკვეთილებს. დაარბევს, აბა, რას იზამს, როცა გასაპარს ცხვარსა, და გეგმას რომ თავი დაეანებოთ, აქ ყვებიან, როგორ შეჭამა კომბლეს ცხვრები კოლექტივმა, მსჯელობენ რატომაა ტკბილი საქართველო, და იმ დასკვნამდე მიდიან, რომ საქართველოზე გამწარებული არავინაა. ცოტა არ იყოს, გაუჭირდა სიმღერისა და ცეკვის გაკვეთილის დაწიოკება – გაცეცხლებულ ბრიგადირს ისეთი ჰანგი შემოეფეთა, დაავიწყდა გაბრაზებული რომ იყო, ერთი კარგადაც ჩამოუარა და პირდაღებულები დატოვა მოწაფეებიც და მასწავლებელიც. მერე კი ისევ – ჰაიტ! ნუ აწრიალებ-მეთქი, არ გეყურება? გაიგონე, თორე ამ მუშტს ხარი ჰყავ მოკლული.

– აკი დათვით?

– დათვიცა და ხარიცა...

... ისევ ცარიელია ბინა. პლაკატზე კი, ბრიგადირს, რომ ეგონა „ცხორი, ცხორი და ცხორი“ ეწერა, სულ სხვა რაღაც წერია. ერთი მორიგი დაწიოკებისას ყურმოკრულით მიხვდა „მაკრატელი“ არის ასო „ო“. „აქ კი „ო“ არსად არ არის“. ეხლა კი გაცეცხლდა ბრიგადირი. თანაც გაიგონა, რომ „კიდევ აწკრიალებენ“. აღმოჩნდა, რომ ყველანი ეკლესიაში არიან, ლოცვებს კითხულობენ და გალობენ. აქ კი რაღას იზამდა ბრიგადირი. სანთელიც მიაწოდეს. ქუდიც მოიხადა, პირჯვარიც გადაიწერა და ღმერთსაც ახსენა. ჩამონგრეული გუმბათიდან ურაპირო სუფთა და ლივლივა ცა გამოჩნდა...

— **გემუდარებით,** — დასაწყისშივე გაგვაფრთხილა კახი კავსაძემ, — **ანაპაში ტაშით დაინგრა დარბაზი და სიმღერა ვერ მოისმინეს. სანამ „დასასრული“ არ დაიწერება, დაიცადეთ!**

„სამშობლოს არვის წავართმევთ...“ – გაუგონარი სიძლიერით არხევდა სულის სიმებს ჩუმს, ძლივს გასაგონი ხმით ნათქვამი სიმღერა...

„ჟიურის არარუსისთვის პრიზის მინიჭება არ უნდოდა“. ბრიგადირსაც არ უნდოდა, მაგრამ...

ერთი კარგადაც ჩამოუარა!

**ელზა ჯმუხაძე.**

# სპორტი

**„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი**

## სამბო

**იმას, რაც გუშინ მოხდა თბილისის სპორტის სასახლეში, ისტორიული შეიძლება ეწოდოს: სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე ზედიზედ სამჯერ აჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი ჩვენი ბიჭების გამარჯვების აღსანიშნავად.**



ბადრი ჯანიაშვილი.



ჯონდო მუზაშვილი.



იოსებ ახალბედაშვილი.

# სამი ოქროს მედალი

57 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს ღირსებას იცავდა კასპელი ბადრი ჯანიაშვილი, რომელსაც წინა წლებში არაერთხელ მოუპოვებია მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების ვერცხლის მედალი. მის კოლექციას „ოქრო“ არ ჰყოფნიდა და ქართველმა ფალავანმა ეს დანაკლისი გუშინ აინაზღაურა. ჯერ უზბეკ ფარჰოდ ხუჯანოვს მოუგო (6:2), შემდეგ სომეხ იური ალექსანიანს დააყრევინა ფარ-ხმალი (2:0). ფინალში მეტოქეობას უწევდა რუსეთის ნაკრების წევრი დამირ ჯილვანოვი. ქართველი ფალავანი პირველსავე წუთზე მეტოქის ფანდზე წამოეგო და საშუალება მისცა მას 2 ქულით დაწინაურებულიყო, მაგრამ მალევე გაათანაბრა ანგარიში. შერკინების მიწურულს კი ერთი ქულაც აილო, რამაც მას მსოფლიო ჩემპიონობა მოუტანა. ამ წონაში ბრინჯაოს მედლები მიხაილ ბაკინმა (უკრაინა) და ხუჯანოვმა დაისაკუთრეს.

მეორე ოქროს მედალი საქართველოს ნაკრებს მცხეთელმა ჯონდო მუზაშვილმა (74 კგ.) მოუტანა. ჯონდო გამოცდილი და ტიტულოვანი სამბისტია. აქამდე იგი ორჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო თასის მფლობელი. მესამედ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე გუშინ ავიდა ფინალში რუსი სერგეი კოლესნიკოვის დამარცხების შემდეგ. გადამწყვეტ ორთაბრძოლამდე კი მუზაშვილმა გზიდან ჩამოიცილა უზბეკი აკობირ ყურბანოვი, სომეხი არუთინ ღარიბიანი და ბელორუსი პაველ პერემიში, რომელიც ყაზახ დიმუჰამედ მუსრალიევთან ერთად ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.



გორელი იოსებ ახალბედაშვილი შედარებით ახალბედაა საქართველოს ნაკრებში, ამიტომაც მისი ტიტულებიც დღემდე მოკრძალებულად გამოიყურებოდა – ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი და მსოფლიო თასზე მესამე ადგილი. გუშინ, მან თავის კოლექციას ოქროს მედალი შემატა. რუსეთელი სურენ ბალაჩინსკის, ტაჯიკელი ნურილო ლოიკოვისა და მონღოლი პერელთ-ოდ შეგმედის ძლევის შემდეგ ფინალში აზერბაიჯანის გუნდის წევრ ელჩინ ფოლადოვს შეხვდა. გადამწყვეტი ორთაბრძოლა ქართველი სპორტსმენის აქტიურობით დაიწყო. მან პირველსავე წუთზე ერთი ქულა აართვა მეტოქეს, შერკინების დამთავრებამდე 10 წამით ადრე კი ელვისებური კისრულით კიდევ ოთხი ქულა დაიმსახურა, გაიმარჯვა 5:0 და, როგორც აღვნიშნეთ, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ბრინჯაოს მედლები ბალაჩინსკიმ და სერგეი ალიხანოვმა (თათრეთი) ირგუნეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა საქართველოს ნაკრები, რომელსაც ორი დღის შემდეგ თავის აქტივში სამი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი აქვს. ორ-ორი „ოქროთი“, „ვერცხლითა“ და „ბრინჯაოთი“ რუსეთის ნაკრები მეორე ადგილზეა.

გუშინვე მუშაობა დაამთავრა სამბოს გამთლიანებული საერთაშორისო ფედერაციის მე-10 კონგრესმა, რომელზეც პირველ ვიცეპრეზიდენტად ფრანგი ეტიენ ლაბრუსი, ხოლო ვიცეპრეზიდენტად ქართველი ნოდარ ექვთიმიშვილი აირჩიეს.

დღეს ერთმანეთს შეხვდებიან 62 და 82 კილოგრამი წონითი კატეგორიის და მძიმე წონის მოჭიდავეები.

**ვაჟა დანელია.**

ალექსანდრე კოტორაშვილის („ლელო“) ფოტო.

## ფეხბურთი

# დიდებული ფინიში

**მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-პოლონეთი 3:0 (0:0)**

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ღირსეულად დაასრულა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ამ ფორუმის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორებთან – პოლონელებთან დიდი ანგარიშით გამარჯვებას ბევრი ვერ დაიკვეხნის, ჩვენმა მთავარმა გუნდმა კი შესანიშნავად აიტაცა ახალგაზრდა კოლეგების ესტაფეტა და შეძლო ის, რასაც გუშინ დასრულებულ საკვალიფიკაციო ციკლში მისგან მოუთმენლად ველოდით – გააზრებული, მწყობრი თამაში, ხოლო თავგანწირვით დავით ყიფიანის შეგირდებმა იტალიელებთან ერთი თვის წინათაც დაგვამახსოვრეს თავი.

შიში, რომ დისკვალიფიცირებული ლიდერის გიორგი ქინქლაძის არყოფნა მასპინძელთა ნახევარდაცვას საგრძნობლად დაასუსტებდა, არ გამართლდა. გიორგი ნემსაძემ მშვენივრად შეასრულა დირიჟორის როლი და არც მცველთა დახმარებას თაკილობდა. ასე რომ, შეუცვლელი არავინ არის და ეს გარემოება, ვფიქრობ, ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

მაინც, რით ვაჯობეთ სახელოვან სტუმრებს? რომ ვთქვათ, ბრძოლისუნარიანობით, არ ვიქნებით მართალნი. ამ მოსაზრებას სლოვაკი მსაჯის მიერ ნაჩვენები 2 წითელი და 8 ყვითელი ბარათის ხვედრითი წილი ადასტურებს. მეტოქეები აღნიშნულ კომპონენტში თანაბრად დაცილდნენ ერთმანეთს.

გადამწყვეტ უპირატესობას ინდივიდუალური ოსტატობითა და გონივრული შეცვლით მივაღწიეთ.



დასკვნით ნახევარ საათში მინდორზე გამოსულმა გოჩა ჯამარაულმა ყველას დაუმტკიცა, რომ „ტრაბზონსფორის“, აწ უკვე ყოფილი მწვრთნელის ათვალწუნების მიუხედავად, მრისხანე ძალად რჩება და მისი ჩამოწერა ნაადრევია.

ანგარიში 55-ე წუთზე ტყუპების კომბინაციის შემდეგ გაიხსნა. შოთას ზუსტ გადაცემას არჩილ არველაძემ ჩვეული დრიბლინგით უპასუხა და „ცაციათი“ ბურთი პოლონელთა კარის შორეულ კუთხეში გაგზავნა – 1:0.

66-ე წუთზე საჯარიმოდან ჯამარაული ბურთს თავზე ასვამს კახა ცხადაძეს და გუნდის კაპიტანსაც ეფექტური გოლი გააქვს – 2:0.

სტუმართა განადგურებას წერტილი 77-ე წუთზე კლასიკურად გათამაშებული სამსვლიანი მინიატურით დაესვა: ჯამარაულის რბილი გადაცემა, შოთას „ქუსლური“ და თემურ ქეცბაიას ბოლო აკორდი – 3:0!

მეტის გატანაც შეგვეძლო, რაც ჩვენი შესარჩევი ჯგუფის სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე გაგვიყვანდა, მაგრამ ჯერ ნემსაძემ დააყოვნა ორი კარგად გახსნილი პარტნიორისათვის პასის მიწოდება, შემდეგ კი მიხეილ ყაველაშვილის მშვენიერ ჩაწოდებას მოჰყვა ჯამარაულის ოდნავ უზუსტო დარტყმა.

სამი მოგება, ერთი ფრე, ოთხი წაგება, შვიდი გატანილი, ცხრა გაშვებული ბურთი და მეოთხე ადგილი – ასეთია საქართველოს ნაკრების მონაგარი. მისი პოტენცია უკეთესი მომავლის იმედს გვიტოვებს.

**გია პლატონიშვილი.**

**სურათზე:** მორიგი გოლი პოლონელთა კარში.

ალექსანდრე კოტორაშვილის („ლელო“) ფოტო.

## სტუმარი

**ეტიენ ლაბრუსი:**

# ჩვენ ხომ ოდესღაც ერთი წინაპარი გვყავდა

– რომ გავიგე, სამბისტთა 1997 წლის მსოფლიო ჩემპიონატი თბილისში გაიმართებოდა, სიამოვნებით დავთანხმდი საქართველოში ჩამოსვლაზე. ეს იმანაც განაპირობა, რომ მე ფრანგი ბასკი ვარ – ჩვენ ხომ ოდესღაც ერთი წინაპარი გვყავდა. გულით მიხარია, რომ გახლეჩილი ფედერაციის გამთლიანება თბილისში მოხდა. ამ გაერთიანებით სამბო მოიგებს. 1985 წელს სამბოს საერთაშორისო ფედერაცია რომ დაარსდა, მაშინ გენერალურ მდივნად ამირჩიეს. ძალა და ენერგია არ დამიზოგავს სამბოს გეოგრაფიის გასაფართოებლად. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ჩემი თაოსნობით 11 ქვეყანაში შეიქმნა სამბოს ეროვნული ფედერაციები. ამჟამად სპორტის ეს სახეობა ოთხი კონტინენტის 45 ქვეყანაშია გავრცელებული. მალე მათს რიგს შეუერთდება რუმინეთი, შვეიცარია, შვედეთი, პორტუგალია, ტუნისი. გვინდა მეხუთე კონტინენტს – ავსტრალიასაც გადავწვდეთ. იქაურმა სპორტის მინისტრმა დახმარება აღმითქვა, თუ ჩვენი ფედერაცია გამთლიანდებოდა. სხვათა შორის, ამასვე გვირჩევდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი.

**– პრეზიდენტობაზე იყრიდით კენჭს, პირველი ვიცეპრეზიდენტობა კი გერგოთ. გულფიცხ ბასკს ეს ხომ არ გაანაწყენებს?**

– (იცინის) გამიხარდა-მეთქი, რომ გითხრათ, არ დამიჯერებთ და მართალიც იქნებით, მაგრამ მერწმუნეთ, რომ პირადულზე მაღლა საერთო საქმეს ვაყენებ. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ სამბოს საერთაშორისო ფედერაცია ხუთსავე კონტინენტზე 75 ქვეყანას აერთიანებდეს. მაშინ ოლიმპიურ ოჯახშიც მიგვიღებენ და ოლიმპიადების პროგრამაში სამბოსაც შეიტანენ. ჩემი ოცნებაც ეს არის.



**– ჩემპიონატის ორგანიზაციაზე რას იტყვით?**

– ჩინებულია. სხვაგვარად ვერც წარმომედგინა. მე ბევრი მსმენია ქართველთა სილამაზეზე, სტუმართმოყვარეობაზე და ამაში თავადაც დავრწმუნდი. ბასკებივით გულღია და ალალი ხალხი ყოფილხართ. ძალიან ლამაზი და ეშხიანი ქალები გყავთ. თქვენს მამაკაცებს ჩვენებური ბერეტები რომ დაახუროთ, ბასკებისგან ვერ გაარჩევთ.

თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა ჩემპიონატის ორგანიზატორებს გულითადი მადლობა ვუთხრა შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის, ხოლო ქართველ ერს ეკონომიკური სიძლიერე და წარმატებები ვუსურვო.

ესაუბრა

**ვაჟა ნოსირელი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№254, კვირა, 12 ოქტომბერი, 1997 წელი.

პირველი საერთაშორისო

# ნიჭის ზეიმი გრძელდება

რაც უფრო შორდება სასტარტო ზღურბლს საკონკურსო მოსმენები, მით უფრო მატულობს დაინტერესებაც და ვნებათა ღელვაც. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ყველა, მათ შორის ჟიურის წევრებიც, აღნიშნავენ კონკურსანტების მაღალ პროფესიულ დონეს და ნიჭიერებას.

ყოველი ტურის შემდეგ მუსიკალურ შეჯიბრში მონაწილეთა რაოდენობა კლებულობს და უფრო დახვეწილი, რაფინირებული ხდება. გუშინ, საღამოს დასრულდა საკონკურსო მარათონის კიდევ ერთი ეტაპი. მოგვიანებით გამოცხადდა მეორე ტურის შედეგები. რეგლამენტით გათვალისწინებული იყო, რომ მესამე ტურზე უნდა ყოფილიყო დაშვებული არა უმეტეს თორმეტი მონაწილისა. ჟიურის გადაწყვეტილებით კონკურსის მესამე ტურზე პაექრობას გააგრძელებენ შემდეგი მუსიკოსები: რიუ მიატა (იაპონია), დიმიტრი შტეინბერგი და რონ რეგევი (ისრაელი), დარია რაბოტკინა და ბასინია შულმანი (რუსეთი), მურად ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი), რაფაელ ალექსანდრ ლუშევსკი (პოლონეთი), ულუმბეკ პალვანოვი (უზბეკეთი) და ოთხი ჩვენი თანამემამულე – ქეთევან ბადრიძე, ნინო გურევიჩი, მარინა ნადირაძე და ვალერიან შიუკაშვილი.

აზრის გამოთქმა ვთხოვეთ კონკურსის გენერალურ დირექტორს, ქალბატონ **მანანა დოიჯაშვილს:** **„კომენტარისგან თავს ვიკავებ. ალბათ, არავის ეპარება ეჭვი ჟიურის ობიექტურობაში, კეთილგანწყობაში.**

**მე, როგორც პროფესიონალს, მახარებს ახალგაზრდების მომზადების მაღალი დონე. ვფიქრობ, შემდგომი ორი ტური კვლავაც დაძაბული შემოქმედებითი მუხტით აღიბეჭდება.**

**მათ კი, ვინც კონკურსის შემდეგ ეტაპზე გავიდა, მინდა ვუსურვო სიმტკიცე, მეტი ნებისყოფა და საბოლოო წარმატება“.**

მესამე ტური დაყოფილია ოთხ მოსმენად, რომლებიც 13 და 14 ოქტომბერს გაიმართება კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

დღეს კონკურსის თავისუფალი დღეა. ჟიურისა და კონკურსის სტუმრებისათვის დაგეგმილია კულტურული პროგრამა – ისინი გაემგზავრებიან მცხეთაში, სადაც გაეცნობიან ჩვენს ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს. ასევე ესტუმრებიან დიდ საკონცერტო დარბაზს, სადაც იხსნება საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“.

ზურაბ ოიკაშვილი.

---

სააქციო საზოგადოება „ერთობა“ 1997 წლის 3 ნოემბერს, 11.00 საათზე იწვევს აქციონერთა საერთო კრებას.

აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.

მისამართი: ქ.თბილისი, მარნეულის 43 (ფონიჭალა).

სს „ერთობის“ დირექტორატი.

---

სასამართლო

# აჯაფსანდლის სამკუთხედი

**ჭიანჭველისა და მისი თირკმლის ანალოგიით, ალბათ, ზოგი იტყვის: ჯერ აჯაფსანდალი რა არის, და მერე იმის სამკუთხედი რაღა იქნებაო. ნურავინ აჩქარდება. ყოფილ მხედრიონელთა შორის, რომელთა სასამართლო პროცესიც ახლა ქუთაისში მიმდინარეობს, არის განსასჯელი კახა ჯინჭარაძეც. მას ბრალად ედება ზუგდიდიდან „გაზ-24“-ის გატაცება. ამ საქმესთან დაკავშირებით, როგორც წინასწარი გამოძიებისას, ისე საჯარო განხილვისას სამი მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებებს, სხვას ვერაფერს უწოდებთ, თუ არა აჯაფსანდალს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კანონის დამცველებმა იმდენი შესცოდეს, რომ ყველა ადრინდელი რეკორდი მოხსნეს. ადვოკატები კი, მოსამართლე ლენგერ ბოჭორიშვილის განმარტებით, ამ ცოდვებისთვის მათ კი არ უნდა კიცხავდნენ, არამედ, პირიქით, მადლობას უნდა ეუბნებოდნენ. თუ რატომ — ეს, ალბათ, პროცესის მთავარმა დირიჟორმა მხოლოდ თავად იცის. როდის გაამხელს ამ საიდუმლოს? ეგეც მხოლოდ და მხოლოდ მისი საქმეა!**

## პირველი კუთხე

ეს პირველი შემთხვევა არ არის: შემოდის სასამართლო პროცესზე მოწმე და იძახის: – მე წინასწარი გამოძიებისას მივეცი ჩვენება, ახლა რაღატომ მოგცეთ ეს ჩვენება მეორედ? მოსამართლე ყველას მოთმინებით უხსნის, რომ ის იყო წინასწარი ძიება, რომ ეს არის საჯარო განხილვა და ა. შ. როცა ამას ითხოვს ჩვეულებრივი, მართლმსაჯულების კანონებში გაუთვითცნობიერებელი პირი, ეს ეგებ მოსათმენია, მაგრამ როცა ამას დაიჟინებს თავად პოლიციის მუშაკი, მაშინ, ალბათ, სხვა რამ აწუხებს „მოწმეს“. ასე სხვა რამ აწუხებდა ვალერი მალანიასაც. იგი ზუგდიდის საგზაო პოლიციის თანამშრომელია. ადრე ბევრი რამ „შეეშალა“ და ახლაც სიფრთხილე გამოიჩინა, თუმცა ახალი ჩვენების მიცემა მაინც მოუწია...

ის ავბედითი „გაზ-24“ ზუგდიდიდან, ვალერი მალანიას დედის ეზოდან წაიყვანეს. თავად ვალერი იმხანად სოფელში ყოფილა. დედას კი ასეთი რამ უთქვამს: სამი შეიარაღებული ბიჭი მოვიდაო, მხედრიონელები იყვნენო, ჭიშკარი ჩაკეტილი მქონდა და ღობიდან გადმოხტნენო. ეს მანქანა გვჭირდება და ორი დღით უნდა წავიყვანოთო. აკუმულატორი არა ჰქონდა და სხვა მანქანას „ბუქსირზე“ გამოაბესო.

ორი დღის შემდეგ ის ბიჭები მართლაც მოსულან, ოღონდ არა მანქანის დასაბრუნებლად, არამედ ნომრების წასაღებად. წაუღიათ კიდეც. მესამედაც მოსულან, – უკვე მანქანის საბუთების წასაღებად. არ მიუციათ. ჰქონდათ შინ, მაგრამ არ მიუციათ. – არა გვაქვს არავითარი საბუთიო, – განუცხადებიათ.

„გაზ-24“ ვალერი მალანიას სიძის – ელგუჯა გვილავასი იყო. ცხადია, შეხვდა მას. მანქანა წამართვესო, – დაუჩივლია სიძეს. ცოტა ხანში ეს სიძე დააპატიმრეს, 12 წელი მიუსაჯეს. მის დაკარგულ „ვოლგას“ კი ოზურგეთში, კახა ჯინჭარაძესთან მიაგნეს. და ეს ეპიზოდი გამოსაძიებლად ელგუჯა ხუბუტიას მისცეს. იცოდა ელგუჯა ხუბუტიამ, რომ ვალერი მალანია პოლიციაში მუშაობდა. სთხოვა, რომ დაზარალებული დასაკითხად მიეყვანა. აღგა მალანია და ელგუჯას მაგიერ მისი ძმა – სერგო მიუყვანა. დაჰკითხა გამომძიებელმა და ოქმიც გააფორმა.

– რატომ მიუყვანეთ გამომძიებელს არა უშუალოდ დაზარალებული ელგუჯა გვილავა, არამედ მისი ძმა? – ჰკითხა მოწმეს მოსამართლე ლენგერ ბოჭორიშვილმა.

– ელგუჯა დაპატიმრებული იყო და, აბა, ვინ მიმეყვანა?

– გამომძიებელმა იცოდა, რომ ეს ელგუჯა კი არა, მისი ძმა იყო?

– როგორ არ იცოდა. თავად მითხრა, – რახან ელგუჯა დაპატიმრებულია, მისი ძმა მომიყვანეო.

– ამ საკითხთან დაკავშირებით, დაუპირისპირდებით გამომძიებელს?

– აუცილებლად!

ამასობაში ადვოკატმა ლევან მეგრელიშვილმა საქმის ტომებში ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს უფროსის სახელზე დაწერილი განცხადება-საჩივარიც გამოჩხრიკა.

– ვინ დაწერა ეს განცხადება?

– მე დავწერე.

– მერე ქვეშ ელგუჯა გვილავას სახელი და გვარი რატომ მოაწერეთ?

– გამომძიებელმა ასე მითხრა.

– ამაზედაც დაუპირისპირდებით გამომძიებელს?

– დიახ!

მოწმის ასეთმა პასუხებმა, უფრო სწორად, მისმა ადრინდელმა ქმედებებმა, როგორც ჩანს, პროკურორი გივი ხაბაშვილი საკმაოდ გააოცა:

– რამდენი ხანია, პოლიციაში მუშაობთ?

– 15 წელიწადია...

– მერე, სულ ასე მუშაობთ?

თავჩაქინდრულ მოწმეს პასუხი აღარ გაუცია...

## მეორე კუთხე

გასაკვირი აღარაა, რომ გამომძიებელ ელგუჯა ხუბუტიას სასამართლო პროცესზე ასეთი კითხვა დაუსვეს:

– როგორ მოხდა, რომ თქვენ დაზარალებულ ელგუჯა გვილავას ნაცვლად დაჰკითხეთ მისი ძმა, სერგო გვილავა?

– მე ვენდე ვალერი მალანიას. იგი პოლიციის მუშაკია. მან კი მომატყუა (გვილავა ქუთაისის ციხეში მჯდარა. იქ ჩასვლას რა უნდოდა!)

– მოწმეს რაიმე საბუთი არ მოსთხოვეთ?

– არ მომითხოვია.

– ელგუჯა გვილავას მარჯვენა ხელზე სამი თითი აკლდა. არც ამისათვის მიგიქცევიათ ყურადღება?

– არ მიმიქცევია.

– კახა ჯინჭარაძე თქვენ დაკითხული გყავთ როგორც მოწმე. ოქმში გაფორმებულია როგორც ბრალდებული.

– ალბათ, შემეშალა.

– ადვოკატი რომ არა ჰყავდა?

– ალბათ, გამომრჩა.

– ეს პასუხებს მაინც იძლევა. სხვები ამასაც ვერ ახერხებენ, – მთლად არ გაწირა მოწმე მოსამართლემ.

## მესამე კუთხე

მთავარი მაინც დაზარალებული ელგუჯა გვილავაა. რას ამბობს იგი?

მისი თქმით, კახა ჯინჭარაძეს ადრეც იცნობდა. ერთხელ ზუგდიდში შეხვედრია – უთქვამს, შენი მანქანა მათხოვეო. ელგუჯა გვილავას მანქანის გასაღები ჯიბეში სდებია, ამოუღია და მიუცია. ჯინჭარაძესაც მალანიების ეზოდან მისი „ვოლგა“ ამიტომ წაუყვანია. შემდეგში ეს მანქანა კახა ჯინჭარაძეს ცოტა მიუჭეჭყ-მოუჭეჭყია. ეს ელგუჯა გვილავას აღარ მოსწონებია და „ვოლგა“ მიუყიდია.

– რამდენად მიჰყიდე? – დაინტერესდა მოსამართლე ლენგერ ბოჭორიშვილი.

– ოთხი ათას დოლარად.

– მოგცა?

– 1700 მომცა, 1300 კიდევ დარჩა.

სად მისცა, ან ის 1700 სად დახარჯა პატიმარმა, აღარ დაზუსტებულა. ერთი ეგ არის. მას ციხიდან შინაც მიუწერია, რომ კახა ჯინჭარაძეს 1300 დოლარი კიდევ მართებსო. ეს სასამართლო პროცესზე ვალერი მალანიამაც დაადასტურა.

– კახა, როდის დაუბრუნებ ვალს? – ჰკითხა განსასჯელს მოსამართლემ.

– რა საჭიროა დაბრუნება, იმ მანქანით ამიერიდან ერთად ივლიან, – კოლექტიურად უპასუხეს განსასჯელებმა.

**ის დღე გაგრის დაცემის დღე იყო. განსასჯელებმა გაიხსენეს და წუთიერი დუმილით ფეხზე წამოდგნენ. არც სხვებს დაუხანებიათ. ყველა დამწუხრდა.**

ბონდო გულიაშვილი.

---

ხსოვნა

## მიმი ჩარგეიშვილი



მოდების რესპუბლიკური ცენტრის თანამშრომლები დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამოდელო-საკონსტრუქტორო საამქროს უფროსი მიმი ჩარგეიშვილი.

მიმი ვერ ასცდა მისთვის განკუთვნილ ბედისწერას. უკურნებელი სენის სასტიკ განაჩენს ყველა შიშით ელოდებოდა და, როდესაც ის მოხდა, დიდ მწუხარებასთან ერთად გაჩნდა სურვილი, რომ ფართო საზოგადოებას გაეგო ამ ქვეყნიდან წავიდა კარგ ოჯახში აღზრდილი, ბუნებით უაღრესად მოკრძალებული, მაღალი ზნეობის, ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილი, თავისი საქმისა და ქვეყნის მიმართ დიდი სიყვარულითა და ერთგულებით გამორჩეული ერთი პირმშვენიერი, დარბაისელი ქართველი ქალი და მისთვის უცნობ ადამიანებსაც დანანებოდათ იგი, ეთქვათ – ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სულიო.

მოდელების სახლის კოლექტივი.

---

შვილები მარიამი, თენგიზი, რძალი ირმა ცხვედიანი, დები მერი, ლიანა მაჭავარიანები, სიძეები ალექსანდრე შიხინაშვილი, რომეო თუთაშვილი, შვილიშვილები ნინო, ქეთინო, ნინო, თამარი, დისწულები მარიკა თუთაშვილი, მალხაზ კაკაურიძე, ძმისწულები თეა, კახა მაჭავარიანები, რძალი თამილა მაჭავარიანი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ სიმონის ასული მაჭავარიანი-მეძარიძე

პანაშვიდი 12, 13 X, 4 ს. გამოსვენება 14 X, 3 ს. კ. გამსახურდიას (ყოფილი პეკინის). გამზირი 31 ბ.

---

ჯანდაცვის მართვის ქვემო ქართლის სამხარეო ცენტრის დირექცია ღრმა მწუხარებით იუწყება ღირსეული მამულიშვილის, ფარმაციის დარგის შესანიშნავი ორგანიზატორის, უკეთილშობილესი პიროვნების

ბეგლარ (ჯუტი) ხელაიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 12 X 3 ს. რუსთავი, ჭავჭავაძის 5.

---

საქართველოს მელიორაციის და წყალთა მეურნეობის საპროექტო საძიებო ინსტიტუტი, ს. ს. „საქწყალპროექტი“, სახელმწიფო სამშენებლო გაერთიანება „წყალმშენი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „საქწყალეკოლოგია“ იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტ „საქწყალპროექტის“ მთავარი ინჟინერი

გურამ ლევანის ძე ჩხეიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ტარიელ, გურანდა, ეკა, გიორგი ჩიგოგიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დათო ლოლაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები ჯემალ, ჯუმბერ ჭკუასელები, რძლები გიული, ლალი და ფაცი ხომერიკი, შვილიშვილები შერმანდი (ედიშერი), კახაბერ, ეკა, ზაზა, ნატო, თეა ჭკუასელები, დისწულები ლადო ბოკერია, დავით ხომერიკი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანა კონსტანტინეს ასული გალოგრე-ჭკუასელი

პანაშვიდი 14, 15 X, 5 ს.

დაკრძალვა 16 X, 3 ს. ოზურგეთის რაიონი, სოფ. წითელმთა.

---

ა. წ. 28 სექტემბერს ქ. ზესტაფონთან დაახლოებით 16 საათზე მომხდარი ავტოკატასტროფის დროს დაღუპული ამირან გრიგოლის ძე გეგეშიძის ოჯახი ულრმეს მადლობას უძღვნის იმ უცნობ კეთილ ადამიანებს, ვინც უდიდესი ჰუმანურობა გამოიჩინა და მანქანაში მსხდომი სამი დაზარალებული, მათ შორის 3,5 წლის ბავშვი ზესტაფონის საავადმყოფოში ოპერატიულად მიიყვანა. ასევე ულრმეს მადლობას მოვახსენებთ ზესტაფონის საავადმყოფოს მთავარ ექიმს ბატონ მაღლაკელიძეს და მის პერსონალს რთულ პირობებში (უშუქობის გამო) თავისი მოვალეობის მაღალკვალიფიციურად და კეთილსინდისიერად შესრულებისათვის.

ა. გეგეშიძის ოჯახი.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ზოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.